ვითამაშოთ კალათბურთი!

წლის წიგნი 2013-2014

www.gbf.ge
www.superleague.ge
www.U-18.ge
www.U-20.ge
www.U-16.ge



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის

www.facebook.com/GeoBasketball

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ეგიდით
ჩატარებული ჩემპიონატები და ღონისძიებები

№3

europe-bet.com

ლიდერი კომპანია აზარტული თამაშების სფეროში



3X3

GBF

20 წიგნები

18 წიგნები

16 წიგნები

14 წიგნები

უკეთ ვიცხოვრების
მატრიკატია
ALL STAR

13 წიგნები

დუდუ დადიანის
მემორიალი

საუკუნის
წიგნი

ხარების
თასი

მემორიალი

ჩოხატაურის ქალაქის სახელობის
სუპერთასი

ქალთა
ლიგა

ქალთა ლიგა
საქართველოს თასი

თბილისის
კალათბურთის
განვითარების
ცენტრი

კალათბურთის
სამყაროს
ლიგა

3X3
GEORGIAN
2014 TOUR

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი



ჩემთვის უდიდესი პატივია, ვუხელმძღვანელო კალათბურთისეროვნულ ფედერაციას. გასულ წელს მე და ჩემი გუნდის ნევრებმა დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ, რათა ქართული კალათბურთი კიდევ უფრო წარმატებული გაგვეხადა.

ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა მზადაა, ქართულ კალათბურთს ემსახუროს, უერთგულოს და რაც მთავარია, მისი თითოეული სეგმენტი განავითაროს. ყოველწლიურად იზრდება ეროვნული ნაკრების წარმატებები და იმ ღონისძიებათა რიცხვი, რომელსაც კალათბურთის ეროვნული ფედერაცია ატარებს. ამის ნათელი მაგალითი ეს ჟურნალია, რომლის მოწყობა და ტირაჟით წლიდან წლამდე იზრდება.

დიდი სურვილი გვაქვს, ღონისძიებების რაოდენობასთან ერთად საქართველოს საკალათბურთო გეოგრაფიაც გავზარდოთ. რაც მეტიმოზარდი იქნება საკალათბურთო ფერხულში ჩაბმული, მით მეტი სარგებელი ექნებაეროვნულ ნაკრებს, სუპერლიგასდა ზოგადად, ქართულ კალათბურთს.

მიხეილ გაბრიჩიძე

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2013-2014 წლის სეზონის შემაჯამებელი ჟურნალი

ჟურნალი სარეკლამო მიზნებისთვის უსასყიდლოდ ვრცელდება

ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო:

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგა და ასაკობრივი ლიგები

კომპანია „ბორჯომი“ ეროვნული ნაკრების გენერალური პარტნიორი

კომპანია პსპ ეროვნული ნაკრების ტექნიკური სპონსორი

აზარტული თამაშების კომპანია ევროპაბეთი – სუპერლიგის გენერალური სპონსორი

აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“ კალათბურთის ფედერაციის სპონსორი

საგამომცემლო ჯგუფი: თამუნა რუაძე, ირაკლი პერტაია, ქეთა გოლეთიანი, ნინო გურული

დიზაინერი ინგა ნავროზაშვილი

ჟურნალში გამოყენებულია:

სტატისტიკური მონაცემები:

საქართველოს კალათბურთის მსაჯთა კავშირი

ოფიციალური ვებ-გვერდი

კალათბურთის ფედერაციის, სუპერლიგის და ასაკობრივი ჩემპიონატების ოფიციალური ვებ-გვერდები
www.gbf.ge www.superleague.ge www.u-20.ge www.u-18.ge www.u-16.ge

ფოტოები:

ალექსი აფციაური ლაშა კუპრაშვილი, ხატია ჯიჯეიშვილი, ბადრი კეთილაძე, ლაშა მიქაუტაძე

ALLSPORT.GE WWW.WORLDSPORT.GE

ISSN 23467533

ირაკლი პერტაია

სარჩევი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები 4

საქართველოს ეროვნული ნაკრები 6

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 16

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 20

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები 24

3ხ3 კალათბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები 28

საქართველოს XXIII ეროვნული ჩემპიონატი 30

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი 44

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი 54

საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი 68

საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი 84

მინი კალათბურთი 88

ქალთა ლიგა 96

დუდუ დადიანის მემორიალი 100

ზურაბ საკანდელიძის და მიხეილ ქორქიას მემორიალი 104

საქართველოს თასი 108

ქალთა ლიგის საქართველოს თასი 114

ALL STAR 116

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი 120

საქართველოს ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში 124

მემორანდუმები 132

სოციალური აქციები კალათბურთის ფედერაციასთან ერთად 136

სხვადასხვა ღონისძიება 138

საკალათბურთო კემპი 150

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი 158

ჩემპიონატებში და ღონისძიებებში გამარჯვებული გუნდები წლების მიხედვით 158

ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი 160

კალათბურთის ფედერაციის

2013 წელი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი იყო. ბესიკ ლიპარტელიანი, რომელიც ფედერაციას პრეზიდენტის რანგში 2001 წლიდან ხელმძღვანელობდა, 2013 წლის არჩევნების შემდეგ მიხეილ გაბრიჩიძემ შეცვალა.

11 დეკემბერს გამართული არჩევნებისას ვეტერანი კალათბურთელი, კომპანია "ჰიუნდაი-საქართველოსა" და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე ფედერაციის პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატების - კახა შენგელიასა და ვლადიმერ ბოისას რჩეულიც იყო. საარჩევნო პროცედურის დაწყების წინ შენგელიამ და ბოისამ გაბრიჩიძის სასარგებლოდ კანდიდატურები მოხსნეს.

გაბრიჩიძეს, შენგელიასა და ბოისასთან ერთად საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო „კალათბურთელთა კავშირის" ხელმძღვანელი მიხეილ ახვლედიანი, რომელიც „ქორთიარდ მერიოტში" გამართულ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე მივიდა, თუმცა არჩევნები არალეგიტიმურად



ჩათვალა, საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო.

ახვლედიანს სოლიდარობა გამოუცხადა ყრილობის 40 დელეგატიდან 5-მა, რომლებმაც კანდიდატთან ერთად დარბაზი დატოვეს. არჩევნებში მონაწილეობა 32-მა დელეგატმა მიიღო, მათგან მომავალ პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძეს მხარი 29 დელეგატმა დაუჭირა. ახვლედიანმა 1 ხმა მიიღო, ხოლო 2 ბიულეტენი საარჩევნო პროცედურების დარღვევის გამო ბათილად ჩაითვალა.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ფედ-



საპრეზიდენტო არჩევნები

ერაციის გამგეობის კანდიდატები დაასახელა, რომლებსაც ყრილობის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს. ფედერაციის ახალ გამგეობაში შევიდნენ: ნოდარ ქორქია, ვალერი ლომაძე, გივი ბიჭიაშვილი, კახა შენგელია, ვლადიმერ ბოისა, გიორგი ქართველიშვილი, თემურ დათიკაშვილი, გია სანაძე და მიხეილ გაბრიჩიძე.

რამდენიმე დღეში მიხეილ გაბრიჩიძემ ფედერაციის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე შემდეგი ადამიანები დანიშნა: ვიცე-პრეზიდენტების პოსტი კახა შენგელიამ და ვლადიმერ ბოისამ დაიკავეს, ხოლო გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი გახდა.

არჩევნების მეორე დღეს მიხეილ განრიჩიძემ ოფიციალური მილოცვები მიიღო ფიბა-ს, ფიბა-ევროპის და მრავალი ქვეყნის საკალათბურთო ფედერაციის ხელმძღვანელებისგან. მოგვიანებით, გაბრიჩიძე, ქართველიშვილი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ფიბა-სთან და უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მერაბ რატიშვილი ფიბა-ევროპის მუდმივმოქმედ კომისიებში აირჩიეს.







მერიის თასი 2014



ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებელი შეკრება ეროვნულმა ნაკრებმა 24 ივნისს, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეებითა და რამდენიმე ლეგიონერით დაიწყო. მოგვიანებითნაკრებს სლოვენიაში შეუერთდნენ კაპიტანი ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი და სრულად შეკრებილმა საქართველოს ეროვნულმა გუნდმა მაკედონიაში, სლოვენიასა და ლიტვაში 8 სპარინგმატჩი გამართა.

მოსამზადებელ პერიოდში საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საშინაო მატჩებს. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის მერიის ტურნირი, რომელიც ტრადიციულად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წინ იმართება.

თბილისის მერიის თასის გათამაშებას საფუძველი 2010 წელს ჩაეყარა, როცა საქართველოს დედაქალაქში უკრაინის, ბელარუსის და რუმინეთის ნაკრებები ჩამოვიდნენ. 2012 წელს რუმინეთი ესტონეთმა ჩაანაცვლა. ორივე ტურნირის ფინალში საქართველომ და უკრაინამ ითამაშეს და ორჯერვე გამარჯვება იგორ კოკოშკოვის გუნდს დარჩა. წელს თბილისში უკრაინელები იმ მიზეზით ვერ ჩამოვიდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ და მოსამზადებელი გრაფიკიც განსხვავებულად ჰქონდათ შედგენილი.



	თბილისის მერიის თასი				მ	წ	ბ/შ	ქ	ა
საქართველო		73:60	76:66	108:56	3	0	257:182	6	1
დიდი ბრიტანეთი	60:73		68:77	92:43	1	2	220:193	4	3
ბელარუსი	66:76	77:68		60:38	2	1	203:182	5	2
მოლდოვა	56:108	43:92	38:60		0	3	137:260	3	4



ნაკრებები



2014 წლის თბილისის მერიის თასზე საქართველოსთან ერთად ბელარუსის, მოლდოვასა და დიდი ბრიტანეთის ნაკრებები შეიკრიბნენ. შეჯიბრი სპორტის სასახლეში 2-4 აგვისტოს ჩატარდა. ბელარუსი მასპინძელ საქართველოსთან ერთად თბილისის მერიის თასის ყველა გათამაშებაში მონაწილეობდა.სწორედ ამ გუნდებს შორის გათამაშდა 2014 წლის მერიის თასიც. სანამ ტურნირის ბოლო ტურში, 4 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდებოდნენ, საქართველომ და ბელარუსმატურნირის დანარჩენი 2 მონაწილე - დიდი ბრიტანეთი და მოლდოვა დაამარცხეს.

გადამწყვეტ მატჩში შესუსტებული შემადგენლობით (ვიქტორ სანიკიძემ და დუდა სანაძემ ტრავმების გამო ვერ ითამაშეს) მოასპარეზე საქართველომ 76:66 დაამარცხა ბელარუსი და თბილისის მერიის თასს მესამედ დაეუფლა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს, ზაზა ფაჩულიას საჩემპიონო თასი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცეს.

ყიფიანმა, ნარმანიამ და გაბრიჩიძემ დააჯილდოვეს ტურნირზე მეორე ადგილზე გასული ბელარუსიც, ხოლო მოლდოვისა და დიდი ბრიტანეთის ნაკრებებს სამახსოვრო პრიზები საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა: კახა შენგელიამ და ვლადიმერ ბოისამ გადასცეს.









ევროპის ჩემპიონატის

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის 2014 წელი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურიზედიზედ მესამედ მოიპოვა. შესარჩევიტურნირის ჯგუფშისაქართველოს პირველი ადგილი აქამდე არასდროს დაეკავებინა, წელს კი კოკოშკოვის გაწვრთნილმა გუნდმა ყველა ოპონენტი უკან მოიტოვა და ევრობასკეტზე პირდაპირ, პირველი ადგილიდან გავიდა.

აღსანიშნავია, რომ გასულციკლში საქართველოს ნაკრებმა დიდი დანაკლისით იასპარეზა. კოკოშკოვის გუნდს ტრავმების გამო 3 წამყვანი მოთამაშე აკლდა. შესარჩევ ციკლში საქართველოს ღირსება ვერ დაიცვეს მანუჩარ მარკოიშვილმა, გიორგი შერმადინმა და ნატურალიზებულმა ამერიკელმა, თელ ავივის „მაკაბის“ შემადგენლობაში 2014 წლის ევროლიგის ჩემპიონმა რიკი ჰიკმანმა.

მიუხედავად სოლიდური დანაკლისისა, იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა გუნდმა სწორად დაგეგმილი მოსამზადებელი ეტაპის, გამართული ტაქტიკისა და დიდი მონდომების ხარჯზე სასურველ შედეგს მაინც მიაღწია.

ოფიციალურ მატჩებს საქართველოს ნაკრები კარგად მომზადებული შეხვდა. მარ-



შესარჩევი ეტაპი



კოიშვილის, შერმადინისა და ჰიკმანის არყოფნაში მოსალოდნელი იყო, რომ მეტი სათამაშო დრო ახალგაზრდებს დაეთმოთ – იგორ კოკოშკოვი საამისოდ მზად იყო და ხშირ როტაციას ძირითადად საშინაო მატჩებში მიმართავდა. ქართველებს საკვალიფიკაციო ეტაპზე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ – ჩეხეთი, უნგრეთი და პორტუგალია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეტოქეებიდან მხოლოდ პორტუგალიასთან ჰქონდა დადებითი ბალანსი. ჩეხებს ქართველები აქამდე ჩატარებულ ოთხივე ოფიციალურ შეხვედრაში დაემარცხებინათ, ხოლო უნგრეთს საქართველოსთვის 2 ამხანაგური და 1 ოფიციალური მატჩი ჰქონდა მოგებული.

კოკოშკოვის გუნდმა საკვალიფიკაციო ტურნირი თბილისში ჩეხეთის 11-ქულიანი ძლევით (72:61) დაიწყო. სლავებმა გვარიანად გვანერვიულეს – მთელი თამაშის მანძილზე კუდში მოგვდევდნენ, რამდენჯერმე დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა დასკვნით წუთებში დამაჯერებელი თამაშის წყალობით საქართველოს ნაკრებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და საიმედო ჰანდიკაპით გაიმარჯვა. საქართველოს ნაკრების კარგი თამაშის მიზეზი მწვრთნელის მიერ თამაშში



ახალგაზრდების გეგმაზომიერი ჩართულობა იყო, რისი წყალობითაც სასტარტო ხუთეულის წევრები გადამწყვეტ წუთებს დასვენებულები შეხვდნენ.

საკვალიფიკაციო ეტაპის კალენდარი შესუსტებული საქართველოს ნაკრებისთვის არასახარბიელო იყო. იგორ კოკოშკოვის გუნდს ზედიზედ 3 გასვლითი მატჩი ელოდა – უნგრეთში, პორტუგალიასა და ჩეხეთში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კეჩკემეტში, უნგრელებთან დაგეგმილ მატჩს, რომლის მოგების შემთხვევაში საქართველო ევრობასკეტისკენ სოლიდურ ნაბიჯს გადადგამდა. ქართველებმა ეს პრინციპული შეხვედრა წააგეს – თითქმის გამარჯვებამდე მიყვანილი მატჩი ელემენტარული შეცდომების (ბოლო წუთზე 4 საჯარიმო ავაცილეთ) გამო 1 ქულით – 73:74 დათმეს.

მორიგი ცივი შხაპი ქართველებმა მომდევნო მატჩში მიიღეს, თუმცა ამჯერად მარცხს გადაურჩნენ და საკვალიფიკაციო ჯგუფის მოგებისთვის ბრძოლაში დარჩნენ. ქალაქ ოვარში გამართული მატჩი გამორჩეული გამოდგა. საქართველოს ნაკრებმა არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩამორჩენა აღმოფხვრა. მეორე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთი იყო დარჩენილი, ქართველები 22:45 რომ აგებდნენ და თითქოს განწირულებიც ჩანდნენ, თუმცა დარჩენილ 22 წუთში საქართველომ 23-ქულიანი დეფიციტი გააბათილა და მატჩი დამატებით დროში – 91:90 მოიგო.

უნგრეთსა და პორტუგალიაში გადატანილი ურთულესი ბრძოლების შემდეგ გადაღლილი საქართველოს ნაკრები





ჩეხეთში ჩავიდა და საკვალიფიკაციო ეტაპის ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა. თუკი წაგება იყო, ქართველები 11 ქულაზე მეტით არ უნდა დამარცხებულიყვნენ, რადგან ჩეხებთან პირად შეხვედრებში უპირატესობა შერჩენოდათ, თუმცა კოკოშკოვის გუნდმა ზეწოლას ვერ გაუძლო და ქალაქ ნიმბურკში გამართული მატჩი 67:86 დათმო.

საქართველოს ეროვნული გუნდი რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: საკვალიფიკაციო ეტაპის დარჩენილი 2 შეხვედრა აუცილებლად უნდა მოეგო, თანაც პირველი მეტოქე, უნგრეთი, რაც შეიძლება დიდი სხვაობით უნდა დაემარცხებინა. 24 აგვისტოს იგორ კოკოშკოვის გუნდმა თბილისის სპორტის სასახლეში უნგრეთს უმასპინძლა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა – 79:59. საბოლოოდ სწორედ ამ მატჩში მოპოვებულმა 20-ქულიანმა გამარჯვებამ განაპირობა ქართველების პირველ ადგილზე გასვლა, თუმცა ეს არ მოხდებოდა, საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით შეხვედრაში საქართველოს პორტუგალია რომ არ დაემარცხებინა.

27 აგვისტოს იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა თბილისის სპორტის სასახლეში პორტუგალიას 71:59 სძლია და ჯგუფში მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდა. გათამაშების ფორმატის თანახმად ევრობასკეტზე საკვალიფიკაციო ეტაპის 7 ჯგუფის გამარჯვებული და 6 საუკეთესო მეორეადგილოსანი გადიოდა. ქართველებს ბურთების კარგი შეფარდება ჰქონდათ და მეორეზე რომც გასულიყვნენ, ევრობასკეტზე მაინც მოხვდებოდნენ, თუმცა პორტუგალიასთან მატჩის დასრულებიდან 40 წუთში სასიხარულო ინფორმაცია მოვიდა უნგრეთიდან, სადაც ჩეხეთის ნაკრები დამარცხდა და საქართველომ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

დიდი ნერვიულობისა და გადატანილი დრამატული ბრძოლების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მაინც უმაღლეს შედეგს მიაღწია – ჯგუფში პირველი ადგილზე გავიდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურიეტაპის საგზური ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მხარში ედგნენ სპონსორი კომპანიები:

ნატახტარი – ნაკრების გენერალური სპონსორი, ბორჯომი – ნაკრების გენერალური პარტნიორი, ჰიუნდაი – ნაკრების პარტნიორი, პე ეს პე – ნაკრების ტექნიკური სპონსორი, ცოდნისა – ნაკრების სპონსორი.







იგორ კოკოშკოვი მთავარი მწვრთნელი



ჯეისონ სტოუდჰი
მწვრთნელი



დავით უსტიაშვილი
მწვრთნელი



კოტე ტუღუში
მწვრთნელი



თეიმურაზ ხვედელიძე
ექიმი



ზაქრო ჯვარიძე
ექიმი



ზურაბ სულეიმანაშვილი
ექიმი



ალექსანდრე ჩვოროვიჩი
ფიზ-მომზადების
მწვრთნელი



ავთანდილ ბერიძე
ფიზ-მომზადების
მწვრთნელი



პაატა ლობჟანიძე
გენერალური
მენეჯერი



გივი სანაძე
მენეჯერი



ნიკა მეტრეველი



ოთარ ფხაკაძე



ზაზა ფაჩულია



გიორგი ცინცაძე



დუდა სანაძე



ლევან ფაცაცია



ვიქტორ სანიკიძე



ბექა ბურჯანაძე



გიორგი შარაბიძე



თორნიკე შენგელია



მიხეილ ბერიშვილი



ბესიკ ლეჟავა



ბექა წივწივაძე



მიხეილ ჭოჭუა

შედეგები

10.08.2014	19:00	საქართველო	ჩეხეთი	73 - 62	თბილისი, საქართველო
13.08.2014	18:00	უნგრეთი	საქართველო	74 - 73	კეჩკემეტი, უნგრეთი
17.08.2014	16:00	პორტუგალია	საქართველო	90 - 91	ოვარი, პორტუგალია
20.08.2014	18:00	ჩეხეთი	საქართველო	86 - 67	ნიმბურკი, ჩეხეთი
24.08.2014	19:00	საქართველო	უნგრეთი	79 - 59	თბილისი, საქართველო
27.08.2014	19:00	საქართველო	პორტუგალია	71 - 59	თბილისი, საქართველო

გუნდის ლიდერები

კატეგორია	მოთამაშე	საშუალო
ქულა	 თორნიკე შენგელია	18.2
მოხსნა	 ვიქტორ სანიკიძე	8.0
პასი	 გიორგი ცინცაძე	6.5
ჩაჭრა	 ზაზა ფაჩულია	1.5
დაფარება	 ზაზა ფაჩულია	0.7

შემადგენლობა

N	სახელი, გვარი	პოზ	სიმაღლე	დაბადების თარიღი	დაბადების ადგილი
4	ნიკა მეტრეველი	ფორვარდი	2.11	14.01.1991	თბილისი
5	ოთარ ფხაკაძე	უკანახაზელი	1.90	28.02.1993	ქუთაისი
7	ზაზა ფაჩულია	ცენტრი	2.10	10.02.1984	თბილისი
8	გიორგი ცინცაძე	უკანახაზელი	1.92	07.02.1986	თბილისი
10	დუდა სანაძე	ფორვარდი	1.96	25.07.1992	თბილისი
12	ლევან ფაცაცია	ფორვარდი	1.98	24.09.1988	თბილისი
13	ვიქტორ სანიკიძე	ფორვარდი	2.03	01.04.1986	თბილისი
15	ბექა ბურჯანაძე	ფორვარდი	2.03	03.01.1994	თბილისი
22	გიორგი შარაბიძე	ცენტრი	2.10	27.04.1990	ბაღდათი
23	თორნიკე შენგელია	ფორვარდი	2.07	05.10.1991	თბილისი
24	მიხეილ ბერიშვილი	ფორვარდი	2.03	12.04.1987	თბილისი
25	ბესიკ ლეჟავა	უკანახაზელი	1.92	21.02.1986	თბილისი
31	ბექა წივწივაძე	უკანახაზელი	1.90	06.01.1989	ქუთაისი
33	მიხეილ ჭოჭუა	ფორვარდი	1.93	10.04.1987	რუსთავი

საბურნირო ცხრილი E ჯგუფი

	გუნდი	თ	მ/წ	ბურთები	ქულა
1.	საქართველო	6	4/2	454/430	10
2.	ჩეხეთი	6	4/2	446/400	10
3.	უნგრეთი	6	4/2	402/376	10
4.	პორტუგალია	6	0/6	353/449	6



საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

		თ	წ	თ/წ		2-ქულიანი		3-ქულიანი		საჯ.		მოხსნა			პას	დაკ	ჩ	დ	პფ		ქ
				ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	მ	ს	ჯამ					პ	მ	
1	თ. შენგელია	5	27.8	6.8/11.4	59.6	6.0/10.0	60.0	0.8/1.4	57.1	3.8/6.2	61.3	2.2	3.2	5.4	2.4	2.8	1.2	0.6	3.0	6.6	18.2
2	ზ. ფაჩულია	6	32.5	5.7/12.2	46.6	5.7/12.0	47.2	0.0/0.2	0.0	6.2/8.5	72.5	3.3	4.5	7.8	3.3	3.8	1.5	0.7	4.3	6.2	17.5
3	ვ. სანიკიძე	6	34.5	5.0/10.5	47.6	4.3/7.5	57.8	0.7/3.0	22.2	2.3/4.5	51.9	2.3	5.7	8.0	1.5	2.2	1.0	0.7	2.0	5.2	13.0
4	დ. სანაძე	6	17.2	2.5/3.7	68.2	0.8/1.3	62.5	1.7/2.3	71.4	0.8/1.2	71.4	0.5	1.5	2.0	1.7	0.5	0.5	0.0	2.8	1.3	7.5
5	გ. ცინცაძე	6	38.2	1.8/8.2	22.4	1.3/3.7	36.4	0.5/4.5	11.1	2.5/3.3	75.0	0.2	2.0	2.2	6.5	2.2	1.3	0.2	1.3	3.2	6.7
6	ბ. ბურჯანაძე	6	17.0	2.0/4.0	50.0	1.3/2.2	61.5	0.7/1.8	36.4	1.5/1.8	81.8	1.0	2.3	3.3	0.2	1.0	0.5	0.2	1.7	1.3	6.2
7	ლ. ფაცაცია	6	23.2	2.2/4.0	54.2	1.5/2.2	69.2	0.7/1.8	36.4	0.8/0.8	100.0	0.7	1.7	2.3	1.8	1.0	0.5	0.2	2.8	1.0	5.8
8	გ. შარაბიძე	1	6.0	2.0/3.0	66.7	2.0/3.0	66.7	0.0/0.0	0.0	0.0/0.0	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	0.0	3.0	0.0	4.0
9	ნ. მეტრეველი	3	8.0	1.0/2.0	50.0	1.0/2.0	50.0	0.0/0.0	0.0	0.3/0.3	100.0	1.3	1.3	2.7	0.3	0.3	0.0	0.0	2.7	0.7	2.3
10	ბ. ლეჟავა	6	10.5	0.3/1.8	18.2	0.0/0.7	0.0	0.3/1.2	28.6	1.0/1.3	75.0	0.5	0.7	1.2	0.3	0.7	0.3	0.0	1.0	0.7	2.0
11	ო. ფხაკაძე	4	3.8	0.0/0.5	0.0	0.0/0.3	0.0	0.0/0.3	0.0	0.0/0.0	0.0	0.3	0.3	0.5	0.3	0.0	0.3	0.0	0.8	0.3	0.0
12	ბ. წივწივაძე	1	3.0	0.0/0.0	0.0	0.0/0.0	0.0	0.0/0.0	0.0	0.0/0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	0.0
13	**გუნდი**											1.0	2.2	3.2		0.2			0.0		
14	**სრული**	6		26.0/55.7	46.7	20.8/39.5	52.7	5.2/16.2	32.0	18.5/26.8	68.9	12.2	23.7	35.8	17.7	14.0	6.8	2.3	21.0	24.8	75.7



საქართველოს კალათბურთის
ეროვნული ნაკრების
გენერალური პარტნიორი

საქართველოს 20-წლამდელთა



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში მე-10 ადგილი დაიკავა. დავით უსტიაშვილის გაწვრთნილი გუნდი მე-9 ადგილისთვის მატჩში რუმინეთს შეხვდა, რომელიც მოსამზადებელ ეტაპზე ბუქარესტში ორჯერ დაამარცხა, თუმცა ოფიციალურ მატჩში ვერაფერი გააწყო და შეხვედრა 50:66 დათმო.

აღსანიშნავია, რომ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, საქართველო მე-9 ადგილს დაიკავებდა თუ მეათეს, ასაკობრივი ნაკრებების მიზანი ხომ ეროვნული გუნდისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის კარგი სპორტსმენების გაზრდაა. 20-წლამდელთა ნაკრებში არაერთი ახალგაზრდა თამაშობს, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის გუნდებს შეავსებს, ბექა ბურჯანაძე კი ეროვნულ ნაკრებშიც იმკვიდრებს ადგილს.

ბურჯანაძე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების ლიდერი იყო და „ბ“ დივიზიონის ბომბარდირი გახდა







მატჩში საშუალოდ მოგროვებული 21.6 ქულით.

ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონს წელს ბოსნიის დედაქალაქმა სარაევომ უმასპინძლა, სადაც თავი 14 ქვეყნის ნაკრებმა მოიყარა. მონაწილენი განაწილდნენ 2 ჯგუფში, რომლებიდანაც ნახევარფინალში 2-2 საუკეთესო გადიოდა. უსტიაშვილის გუნდმა ტურნირი ფინეთთან 19-ქულიანი მარცხით დაიწყო, თუმცა მომდევნო შეხვედრაში ავსტრია 72:55 გაანადგურა და ჯგუფიდან გასვლის შანსიც შეინარჩუნა.

საკვანძო გამოდგა მესამე მატჩი, რომელშიც საქართველო უკრაინას შეხვდა. მატჩის ბედი ბოლო წამებზე უკრაინის სასარგებლოდ გადაწყდა. სლავებმა 2 ქულის სხვაობით – 71:69 გაიმარჯვეს და საქართველოს ჯგუფიდან გასვლის იმედები გადაუწურეს. საბოლოოდ, უკრაინამ მეორე ადგილის დაკავება მოახერხა და ნახევარფინალშიც გავიდა.

როგორც ჩანს, დავით უსტიაშვილის გუნდმა მთელი ძალები უკრაინასთან ბრძოლას შეალია, რადგან მომდევნო მატჩებში მთლიანად დაცლილი იყო – ბელარუსთან და ჰოლანდიასთან თამაშები უიმედოდ დათმო. პირველი ეტაპის დასკვნით შეხვედრაში ქართველებმა შვეიცარიას დაძაბულ ბრძოლაში 79:76 მოუგეს და 7-გუნდიან ჯგუფში მე-5 ადგილი დაიკავეს.

ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ქართველებს შეეძლოთ, მე-9 ადგილი იყო. საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ შეხვედრაში უსტიაშვილის გუნდმა ესტონეთის ნაკრებს 60:52 მოუგო და მე-9 ადგილისთვის მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩვენი ნაკრების მეტოქე რუმინეთი იყო, რომელთანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამზადებელ ეტაპზე 3 ამხანაგური მატჩიდან 2 ჰქონდა მოგებული. ქართველებმა ვერ მოახერხეს მობილიზება და ტურნირის ბოლო მატჩი რუმინელებთან 16 ქულით დათმეს.

ქულებთან ერთად „ბ“ დივიზიონს პასებშიც ქართველმა ულიდერა. გამართულ 8 მატჩში ირაკლი მიქელაძემ 45 შედეგიანი გადაცემა მიითვალა, რაც ტურნირის საუკეთესო შედეგი გახლდათ. ბურჯანაძემ და მიქელაძემ გუნდის კიდევ 4 წევრთან (მერაბ მირზიაშვილი, გიორგი ცირეკიძე, ლერი კვანტალიანი, ნოდარ გოგოძე) ერთად 20-წლამდელთა ნაკრებში კარიერა დაასრულეს. მომავალი წლიდან ეს ნაკრები შევსებას 18-წლამდელთა ნაკრებიდან მიიღებს.












დავით უსტიაშვილი
მთავარი მწვრთნელი



მიხეილ ბერუაშვილი
მწვრთნელი



ირაკლი ხოშტარია
მწვრთნელი



გელა წულაძე
ასაკობრივი ნაკრები გუნდების კოორდინატორი



ზურა ჯანიკაშვილი
ექიმი



გივი სანაძე
ასაკობრივი ნაკრები გუნდების გენერალური მენეჯერი



შალვა ონიანი
მენეჯერი



ბორჯომი
BOTTLED IN GEORGIA

შედეგები

10.07.2014	13:00	საქართველო ფინეთი		56 – 75	სარაევო, ბოსნია
11.07.2014	19:30	ავსტრია საქართველო		55 – 72	სარაევო, ბოსნია
12.07.2014	17:00	საქართველო უკრაინა		69 – 71	სარაევო, ბოსნია
14.07.2014	15:00	ბელარუსი საქართველო		82 – 63	სარაევო, ბოსნია
15.07.2014	17:30	საქართველო ჰოლანდია		51 – 73	სარაევო, ბოსნია
16.07.2014	15:00	შვეიცარია საქართველო		76 – 79	სარაევო, ბოსნია
19.07.2014	19:30	საქართველო ესტონეთი		60 – 52	სარაევო, ბოსნია
20.07.2014	17:30	რუმინეთი საქართველო		66 – 50	სარაევო, ბოსნია



გუნდის ლიდერები

კატეგორია	მოთამაშე	საშუალო
ქულა	ბექა ბურჯანაძე	21.6
მოხსნა	ბექა ბურჯანაძე	9.5
პასი	ირაკლი მიქელაძე	5.6
ჩაჭრა	ირაკლი მიქელაძე	2.1
დაფარება	მერაბ მირზიაშვილი	1.0

შემადგენლობა

No	სახელი, გვარი	პოზიცია	სიმაღ.	დაბადების თარიღი	დაბადების ადგილი
4	ალექსანდრე ბოლქვაძე	ფორვარდი	1.95	27.03.1995	თბილისი
5	ბექა დარახველიძე	ფორვარდი	1.86	08.07.1995	თბილისი
6	ზეზვა ლილუაშვილი	უკანახაზელი	1.80	13.06.1995	ქუთაისი
7	ბექა ბურჯანაძე	ფორვარდი	2.03	03.01.1994	თბილისი
8	კახაბერ ტომარაძე	უკანახაზელი	1.99	13.04.1995	თბილისი
9	ნოდარ გოგოძე	უკანახაზელი	1.91	12.07.1994	ქუთაისი
10	ირაკლი მიქელაძე	უკანახაზელი	1.82	26.03.1994	ბათუმი
11	ვალერი კვანტალიანი	ფორვარდი	2.04	22.08.1994	თბილისი
12	გიორგი ცირეკიძე	ცენტრი	2.04	07.01.1994	ქუთაისი
13	ნუგზარ აბულაძე	უკანახაზელი	1.82	14.06.1995	თბილისი
14	სანდრო სანაძე	უკანახაზელი	1.88	13.11.1995	თბილისი
15	მერაბ მირზიაშვილი	ცენტრი	2.07	11.01.1994	მცხეთა

საბურნირო ცხრილი B ჯგუფი

№	გუნდი	თ	მ/წ	ბურთები	ქ
1	ბელარუსი	6	5/1	489/394	11
2	უკრაინა	6	5/1	419/368	11
3	ჰოლანდია	6	5/1	391/356	11
4	ფინეთი	6	2/4	433/421	8
5	საქართველო	6	2/4	390/432	8
6	ავსტრია	6	1/5	330/413	7
7	შვეიცარია	6	1/5	365/433	7

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

	თ	წ	თ/ნ		2-ქულიანი		3-ქულიანი		საკ.		მოხსნა			პას	დაკ	ჩ	დ	პფ		ქ
			ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	მ	ს	ჯამ					პ	მ	
ბ. ბურჯანაძე	8	36.1	7.1/17.9	39.9	4.0/9.9	40.5	3.1/8.0	39.1	4.3/5.5	77.3	2.1	7.4	9.5	1.9	3.0	1.3	0.9	2.4	5.1	21.6
ი. მიქელაძე	8	32.3	3.5/9.5	36.8	1.8/4.5	38.9	1.8/5.0	35.0	2.0/3.0	66.7	1.0	3.3	4.3	5.6	3.3	2.1	0.1	2.8	4.6	10.8
ნ. გოგოძე	8	21.3	2.4/6.6	35.8	1.1/3.4	33.3	1.3/3.3	38.5	1.0/1.6	61.5	1.1	1.3	2.4	1.1	2.4	1.6	0.0	1.6	1.3	7.0
მ. მირზიაშვილი	5	20.8	3.0/4.4	68.2	3.0/4.4	68.2	0.0/0.0	0.0	0.6/1.2	50.0	1.6	2.0	3.6	0.4	0.8	0.8	1.0	2.2	0.8	6.6
ვ. კვანტალიანი	8	13.1	1.9/3.4	55.6	1.9/3.1	60.0	0.0/0.3	0.0	0.5/0.8	66.7	1.1	0.9	2.0	0.1	1.0	0.0	0.1	1.6	1.4	4.3
ნ. აბულაძე	8	17.3	1.0/3.5	28.6	0.6/2.5	25.0	0.4/1.0	37.5	1.6/1.8	92.9	0.9	0.4	1.3	1.3	1.8	0.5	0.0	1.0	1.4	4.0
ა. ბოლქვაძე	8	20.4	1.3/5.1	24.4	0.5/2.9	17.4	0.8/2.3	33.3	0.3/0.8	33.3	0.4	2.9	3.3	0.4	2.1	0.5	0.1	1.6	0.6	3.5
ს. სანაძე	8	14.4	1.3/3.9	32.3	1.0/1.8	57.1	0.3/2.1	11.8	0.3/0.3	100.0	0.9	1.4	2.3	0.4	0.9	0.3	0.0	0.8	0.8	3.0
გ. ცირეკიძე	8	17.4	1.3/2.9	43.5	1.0/1.8	57.1	0.3/1.1	22.2	0.1/0.5	25.0	1.4	1.9	3.3	0.5	1.3	0.6	0.1	3.4	0.9	2.9
კ. ტომარაძე	6	12.8	0.5/3.2	15.8	0.5/0.8	60.0	0.0/2.3	0.0	0.2/0.3	50.0	0.5	1.7	2.2	0.0	0.7	0.3	0.0	0.7	0.2	1.2
ბ. დარახველიძე	3	6.7	0.3/1.7	20.0	0.3/1.0	33.3	0.0/0.7	0.0	0.0/0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.3	0.3	0.3	0.0	0.3	0.0	0.7
ზ. ლილუაშვილი	4	5.8	0.3/1.0	25.0	0.3/0.8	33.3	0.0/0.3	0.0	0.0/0.0	0.0	0.0	0.3	0.3	0.3	0.5	0.0	0.0	0.8	0.3	0.5
გუნდური											0.8	2.9	3.6		1.0			0.0		
სრული	8		22.1/59.0	37.5	14.4/33.9	42.4	7.8/25.1	30.8	10.5/15.1	69.4	11.0	24.8	35.8	11.8	18.0	7.8	2.0	17.5	16.8	62.5

FIBA EUROPE
U18 EUROPEAN CHAMPIONSHIP MEN DIVISION B BULGARIA 2014
Sofia
24 JULY - 03 AUGUST

საქართველოს 18-წლამდელთა







18-წლამდელთა ნაკრები წელს კრიზისში იყო. არადა, ერთი შეხედვით, ისეთი შემადგენლობა არ ჰყავდა, ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში ერთადერთი გამარჯვების ამარა დარჩენილიყო და 22 მონაწილეს შორის მე-20 ადგილი დაეკავებინა.

ის, რომ 18-წლამდელთა ნაკრებისთვის რთული იქნებოდა „ბ“ დივიზიონში წარმატებულად გამოსვლა, მოსამზადებელ ეტაპზევე გამოჩნდა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა ნაკრებმა სპარინგ მატჩების უმეტესობა წააგო. მართალია, ჩვენი ოპონენტები საკმაოდ ძლიერები იყვნენ, თუმცა თბილისში ჩამოსული უკრაინის ნაკრებისთვის ქართველებს მეტი წინააღმდეგობის გაწევა მართებდათ.

თბილისში, დიღმის ბაზაზე 2 ამხანაგური მატჩი გაიმართა. უკრაინელებმა პირველი შეხვედრა დიდი სხვაობით – 77:59 მოგვიგეს, მეორე მატჩში კი შედარებით თანაბარი ბრძოლა გაიმართა, რომელშიც გამარჯვება კვლავ სლავებს დარჩათ – 78:73. ამის შემდეგ იყო ლატვიასთან, ფინეთთან და ბულგარეთთან წაგებები და 1 გამარჯვება ლატვიურ გუნდთან. 18-წლამდელთა ნაკრებმა კარგი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა, თუმცა „ბ“ დივიზიონში გამარჯვებების მოსაპოვებლად კლასი არ ეყო.

„ბ“ დივიზიონისთვის უკრაინას უნდა ემასპინძლა, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე რთული პოლიტიკური მოვლენების გამო ტურნირი ბულგარეთის დედაქალაქში გადაიტანეს. სოფიაში ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონი 24 ივლისიდან 4 აგვისტომდე მიმდინარეობდა და მის ფარგლებში ქართველებმა 7 მატჩი გამართეს.

არჩილ ჟღენტის გუნდს პირველივე შეხვედრაში შეეძლო წარმატების მიღწევა, თუმცა ავსტრიასთან ბოლო მომენტში ვერ იძალა და 3 ქულის სხვაობით – 54:57 დამარცხდა. ავსტრია ერთ-ერთი იყო იმ გუნდებიდან, რომლებიც კლასით ქართველებთან ახლოს იდგნენ. მომდევნო მეტოქეები გაცილებით ძლიერები გამოდგნენ და ჟღენტის გუნდმა მიჯრით განიცადა წაგებები ესტონეთთან (59:89), ისრაელთან (73:94) და ისლანდიასთან (80:86).

ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში საქართველო ტურნირის ფავორიტსა და მომავალ ჩემპიონ გერმანიას შეხვდა და თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში უგებდა. ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ქართველები 9 ქულით ლიდერობდნენ, ხოლო მატჩის დასრულებამდე 1:35 წუთით ადრე 65:61 იგებდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ გერმანელებმა 70:66 გაიმარჯვეს და საქართველო ჯგუფში ბოლო ადგილის დაკავებით 18-22 ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთო.

არჩილ ჟღენტის გუნდმა ტურნირზე პირველი და ბოლო გამარჯვება შვეიცარიასთან მოიპოვა. საქართველომ სოლიდური 26-ქულიანი სხვაობით – 89:63 გაიმარჯვა. ამ მოგებით ქართველებმა მე-19 ადგილისთვის მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს, სადაც ჩვენების მეტოქე შოტლანდია იყო. ბრიტანელებმა ტურნირის დასკვნით მატჩში ქართველებს არაფერი დაუთმეს და 72:64 გაიმარჯვეს.











არჩილ ქლენტი
მთავარი მწვრთნელი



დიმიტრი ქაკობოვი
მწვრთნელი



გიორგი ნიკოლაძე
მწვრთნელი



ზურაბ იოსელიანი
ექიმი



გიორგი ბუცხრიკიძე
მენეჯერი



PSP №1

შედეგები

24.07.2014	13:45		საქართველო	54 – 57	სოფია, ბულგარეთი
			ავსტრია		
25.07.2014	11:30		ესტონეთი	89 – 59	სოფია, ბულგარეთი
			საქართველო		
26.07.2014	18:15		ისრაელი	94 – 73	სოფია, ბულგარეთი
			საქართველო		
27.07.2014	18:15		საქართველო	80 – 86	სოფია, ბულგარეთი
			ისლანდია		
28.07.2014	20:30		გერმანია	70 – 66	სოფია, ბულგარეთი
			საქართველო		
30.07.2014	11:30		საქართველო	89 – 63	სოფია, ბულგარეთი
			შვეიცარია		
02.08.2014	11:30		შოტლანდია	72 – 64	სოფია, ბულგარეთი
			საქართველო		

გუნდის ლიდერები

კატეგორია	მოთამაშე	საშუალო
ქულა	ლუკა ზაქრაძე	15.4
მოხსნა	ვილი ისიანი	7.3
პასი	ლუკა ზაქრაძე	3.0
ჩაჭრა	ლუკა ზაქრაძე	2.7
დაფარება	გიორგი ტურძელაძე	0.8

საბურნირო ცხრილი D ჯგუფი

№	გუნდები	თ	მ/წ	ბურთები	ქ
1	გერმანია	5	5/0	386/270	10
2	ისრაელი	5	4/1	397/375	9
3	ისლანდია	5	3/2	377/329	8
4	ავსტრია	5	2/3	288/359	7
5	ესტონეთი	5	1/4	333/384	6
6	საქართველო	5	0/5	332/396	5

შემადგენლობა

No	სახელი გვარი	პოზიცია	სიმაღ.	დაბ. თარიღი	დაბადების ადგილი
4	სოსო მაჭავარიანი	ფორვარდი	1.96	14.05.1996	საჩხერე
5	ვასილ კუტალაძე	ფორვარდი	1.90	21.09.1997	თბილისი
6	ლევან მასხულია	უკანახაზელი	2.00	27.04.1996	თბილისი
7	გიორგი გუგეშაშვილი	ფორვარდი	2.00	15.02.1996	თბილისი
8	გიორგი გოგობერიშვილი	ფორვარდი	1.93	29.03.1997	თესალო-ნიკი
9	მაიზერ რევაზაშვილი	ცენტრი	2.07	19.12.1996	გორი
10	ლუკა ზაქრაძე	უკანახაზელი	1.90	10.04.1996	თბილისი
11	გიორგი ცირიკიძე	ფორვარდი	1.98	18.03.1998	თბილისი
12	გიორგი ტურძელაძე	ფორვარდი	1.95	21.10.1997	თბილისი
13	დავით ლომიძე	ფორვარდი	1.94	13.01.1997	თბილისი
14	ვილი ისიანი	ფორვარდი	2.01	11.08.1997	თბილისი
15	თორნიკე გაგუა	უკანახაზელი	1.92	15.11.1996	თბილისი

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

	თ	წ	თ/ნ		2-ქულიანი		3-ქულიანი		საჯ.		მოხსნა			პას	დაკ	ჩ	დ	პფ		ქ
			ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	მ	ს	ჯამ					პ	მ	
ლ. ზაქრაძე	7	27.1	5.7/13.0	44.0	4.0/7.6	52.8	1.7/5.4	31.6	2.3/2.7	84.2	1.1	1.0	2.1	3.0	2.1	2.7	0.0	2.7	4.1	15.4
ვ. ისიანი	7	29.9	4.6/9.9	46.4	2.9/5.7	50.0	1.7/4.1	41.4	0.9/1.1	75.0	1.6	5.7	7.3	1.3	1.3	0.7	0.6	2.4	2.3	11.7
ლ. მასხულია	7	22.1	3.4/9.4	36.4	2.9/6.3	45.5	0.6/3.1	18.2	1.4/2.3	62.5	0.7	3.3	4.0	2.1	1.7	0.6	0.1	1.3	2.3	8.9
დ. ლომიძე	7	17.6	2.7/7.1	38.0	0.7/1.6	45.5	2.0/5.6	35.9	0.6/0.9	66.7	0.3	2.6	2.9	2.1	1.3	0.6	0.0	0.7	1.4	8.0
მ. რევაზაშვილი	6	20.3	2.8/6.7	42.5	2.7/6.0	44.4	0.2/0.7	25.0	0.8/1.2	71.4	1.2	3.0	4.2	0.3	0.8	0.8	0.2	2.2	1.3	6.7
გ. ტურძელაძე	5	21.0	2.4/6.4	37.5	2.4/6.4	37.5	0.0/0.0	0.0	0.4/0.4	100.0	2.4	2.6	5.0	0.4	1.6	1.0	0.8	3.0	1.0	5.2
გ.გოგობერიშვიოლი	7	17.9	1.1/5.3	21.6	0.1/1.4	10.0	1.0/3.9	25.9	0.3/0.3	100.0	0.4	1.3	1.7	1.4	0.7	1.0	0.0	1.1	0.3	3.6
ს. მაჭავარიანი	7	10.1	1.4/3.1	45.5	1.0/2.3	43.8	0.4/0.9	50.0	0.1/0.3	50.0	0.3	0.7	1.0	0.7	2.0	0.9	0.1	1.0	0.6	3.4
გ. ცირიკიძე	6	11.5	1.0/3.3	30.0	0.8/2.5	33.3	0.2/0.8	20.0	1.2/2.5	46.7	0.3	1.2	1.5	1.2	1.7	0.7	0.0	0.5	1.7	3.3
გ. გუგეშაშვილი	7	16.1	1.3/3.9	33.3	1.0/2.6	38.9	0.3/1.3	22.2	0.3/1.0	28.6	0.9	2.9	3.7	1.9	1.1	1.9	0.1	2.6	2.3	3.1
ვ. კუტალაძე	7	8.9	0.7/2.0	35.7	0.7/2.0	35.7	0.0/0.0	0.0	0.1/0.3	50.0	1.7	2.1	3.9	0.1	0.4	0.4	0.1	2.4	0.6	1.6
თ. გაგუა	6	8.7	0.7/2.7	25.0	0.7/2.3	28.6	0.0/0.3	0.0	0.2/0.3	50.0	0.2	0.3	0.5	0.3	0.8	0.5	0.0	0.5	0.5	1.5
გუნდური											1.1	2.1	3.3		1.0			0.0		
სრული	7		26.6/69.1	38.4	18.6/43.3	42.9	8.0/25.9	30.9	8.1/12.6	64.8	11.3	27.4	38.7	14.6	15.7	11.1	1.9	19.1	17.6	69.3

საქართველოს 16-წლამდელთა





საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს შორის ევროსარბიელზე ყველაზე ღირსეულად 16-წლამდელთა ნაკრები გამოვიდა. გია კაზანჯიანის, ირაკლი ტომარაძისა და თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში 8-დან 5 მატჩი მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ 20-წლამდელთა მსგავსად საბოლოოდ მე-10 ადგილი დაიკავა, წარმატებასთან გაცილებით ახლოს იყო.

16-წლამდელთა ნაკრები იყო გუნდი, რომელსაც „ა“ დივიზიონში ანაცვლების რეალური შანსი ჰქონდა, თუმცა კენჭისყრაში არ გაუმართლა. გარდა იმისა, რომ ქართველები ჯგუფში ტურნირის ფავორიტებთან – ისრაელთან და სლოვენიასთან მოხვდნენ, პირველ ეტაპზე ჩვენი მეტოქე იყო მასპინძელი მაკედონია. დანარჩენ 3 ჯგუფში კი ასეთი ძლიერი გუნდების კონცენტრაცია არ შეინიშნებოდა.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირის პირველი მატჩი სლოვენიასთან დაძაბულ ბრძოლაში – 73:81 დათმო, ხოლო მომდევნო შეხვედრაში ისრაელთან უშანსოდ წააგო – 63:86. ამის შემდეგ ქართველებმა ნორვეგია 69 ქულის სხვაობით (111:42) გაანადგურეს და ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მასპინძელი მაკედონიის 14 ქულით ძლევის შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გადიოდნენ.

მაკედონიელებს, რომლებმაც მანამდე სლოვენია დაამარცხეს, ქართველების ნებისმიერი სხვაობით ძლევა აძლევდათ ხელს, რომ ჯგუფიდან გამსვლელი მე-2 ადგილი დაეკავებინათ. მატჩის ერთ-ერთი არბიტრი რუსი გახლდათ, რომელმაც არაერთ სადაო სიტუაციაში ქართველებისთვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღო. ამის გამო საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ 10 ქულით – 87:77 მოიგო და ჯგუფიდან გასვლამდე 4 ჩაგდებული ქულა დააკლდა.

ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავების შემდეგ კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში გადაერთო. საკვალიფიკაციო ჯგუფში ქართველებმა მეტოქეები არ დაინდეს და მიჯრით 3 იოლი გამარჯვება მოიპოვეს. საქართველომ ჯერ ესტონეთი დაამარ-

ცხა (92:60), შემდეგ რუმინეთს სძლია (97:63), პლეი აუტის მატჩში კი ჰოლანდია გაანადგურა (92:37).

ამ გამარჯვებების შემდეგ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა მე-9 ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. კაზანჯიანის გუნდის მეტოქე მაკედონია გახლდათ, რომელიც ქართველებმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩატოვეს. მასპინძლებმა ამჯერად მოახერხეს წარმატების მიღწევა და ტურნირის დასკვნით მატჩში ქართველებს 93:81 მოუგეს.

თუ გავითვალისწინებთ მოსამზადებელ მატჩებში მიღწეულ წარმატებებს, მთლიანობაში 16-წლამდელთა ნაკრებმა 2014 წლის ზაფხულში გამართული 20 შეხვედრიდან 14 მოიგო. „ბ“ დივიზიონამდე 16-წლამდელებმა ამხანაგურ მატჩებში „ა“ დივიზიონის წევრები – უკრაინა და რუსეთი დაამარცხეს. უკრაინელები თბილისში იმყოფებოდნენ, სადაც ქართველებთან ჯერ 23 ქულით წააგეს, შემდეგ კი – 16-ით. რაც შეეხება რუსეთს, კაზანჯიანის გუნდმა ჩრდილოელი მეზობელი ლატვიაში ჩატარებულ სპარინგ – მატჩში 17 ქულის სხვაობით – 72:55 გაანადგურა.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში მოთამაშეთაგან ყველა 1998 წელს არის დაბადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აღნიშნულ ასაკობრივ ნაკრებში ასპარეზობა დაასრულეს. 16-წლამდელთა ნაკრებს კარგი შევსება მოსდის 1999 წელს დაბადებულთა ნაკრების სახით, რომელსაც ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი წვრთნის. ამ ნაკრებმა საქართველოს ღირსება 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა დაიცვას.









გია კაზანჯიანი
მთავარი მწვრთნელი



ირაკლი ტომარაძე
მწვრთნელი



თემურ კანკია
მწვრთნელი



ზურა ჯანიკაშვილი
ექიმი



გიორგი ბუცხრიკიძე
მენეჯერი



გუნდის ლიდერები

კატეგორია	მოთამაშე	საშუალო
ქულა	გიორგი ცირიკიძე	18.1
მოხსნა	ვლადიმერ ფურცხვანიძე	8.8
პასი	დავით აფხაზავა	4.0
ჩაჭრა	ლევან ბაბილოძე	1.9
დაფარება	გიორგი თვალაბეიშვილი	1.4

შემადგენლობა

N	სახელი, გვარი	პოზიცია	სიმაღ.	დაბ. თარიღი	დაბადების ადგილი
4	ნიკოლოზ ლეონიძე	უკანახაზელი	1.88	14.03.1998	თბილისი
5	ლევან ბაბილოძე	ფორვარდი	1.93	24.07.1998	ბათუმი
6	გიორგი გვიანიძე	უკანახაზელი	1.90	23.05.1998	თბილისი
7	გიორგი ცხოვრებოვი	ფორვარდი	1.95	03.02.1998	თბილისი
8	ლუკა ბულაშვილი	უკანახაზელი	1.92	03.05.1998	თბილისი
9	დავით აფხაზავა	უკანახაზელი	1.79	02.06.1998	ბათუმი
10	ნიკოლოზ ლოლიშვილი	ფორვარდი	1.94	18.02.1998	თბილისი
11	გიორგი ცირიკიძე	ფორვარდი	1.98	18.03.1998	თბილისი
12	ვლადიმერ ფურცხვანიძე	ცენტრი	2.05	28.04.1998	ქუთაისი
13	საბა აკობია	უკანახაზელი	1.85	14.02.1998	თბილისი
14	გიორგი თვალაბეიშვილი	ცენტრი	2.07	04.03.1998	თბილისი
15	ნიკა დარბაიძე	ფორვარდი	2.00	03.03.1998	გორი

შედეგები

20.08.2014	21:00	საქართველო სლოვენია	73 – 81	შტრუმიცა, მაკედონია
21.08.2014	14:15	ისრაელი საქართველო	86 – 63	შტრუმიცა, მაკედონია
23.08.2014	16:30	საქართველო ნორვეგია	111 – 42	შტრუმიცა, მაკედონია
24.08.2014	18:45	მაკედონია საქართველო	77 – 87	შტრუმიცა, მაკედონია
26.08.2014	18:45	ესტონეთი საქართველო	60 – 92	შტრუმიცა, მაკედონია
27.08.2014	14:15	საქართველო რუმინეთი	97 – 63	შტრუმიცა, მაკედონია
29.08.2014	18:45	საქართველო ჰოლანდია	92 – 37	შტრუმიცა, მაკედონია
30.08.2014	18:15	საქართველო მაკედონია	81 – 93	შტრუმიცა, მაკედონია

საბურნირო ცხრილი B ჯგუფი

	გუნდები	თ	მ/წ	ბურთები	ქ
1	ისრაელი	4	4/0	340/232	8
2	სლოვენია	4	2/2	306/264	6
3	საქართველო	4	2/2	334/286	6
4	მაკედონია	4	2/2	297/305	6
5	ნორვეგია	4	0/4	157/347	4

საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები

	თ	წ	თ/ნ		2-ქულიანი		3-ქულიანი		საუკ.		მოხსნა			პას	დაკ	ჩ	დ	პფ		ქ
			ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	ჩ/ს	%	მ	ს	ჯამ					პ	მ	
გ. ცირიკიძე	8	24.5	4.9/10.3	47.6	4.5/7.5	60.0	0.4/2.8	13.6	8.0/11.5	69.6	1.5	4.3	5.8	2.8	2.4	1.3	0.4	2.1	8.4	18.1
ლ. ბულაშვილი	8	26.1	5.1/11.5	44.6	3.1/5.6	55.6	2.0/5.9	34.0	3.0/4.5	66.7	2.3	2.9	5.1	2.0	2.0	1.8	0.3	2.3	2.8	15.3
ლ. ბაბილოძე	8	15.1	3.8/8.8	42.9	3.5/6.4	54.9	0.3/2.4	10.5	1.8/2.6	66.7	0.6	2.0	2.6	1.1	1.4	1.9	0.0	1.6	2.0	9.5
ნ. ლეონიძე	7	18.4	3.1/8.7	36.1	1.1/2.9	40.0	2.0/5.9	34.1	1.0/1.7	58.3	0.7	0.6	1.3	1.3	1.3	1.4	0.1	1.4	1.3	9.3
ვ. ფურცხვანიძე	8	17.0	3.6/5.9	61.7	3.6/5.9	61.7	0.0/0.0	0.0	1.9/2.8	68.2	4.3	4.5	8.8	0.4	2.3	1.4	0.5	2.6	2.1	9.1
გ. თვალაბეიშვილი	8	17.1	3.1/5.3	59.5	3.1/5.3	59.5	0.0/0.0	0.0	1.1/1.8	64.3	2.5	3.3	5.8	0.3	1.6	0.6	1.4	2.0	1.9	7.4
გ. გვიანიძე	8	16.1	2.3/6.1	36.7	1.4/3.0	45.8	0.9/3.1	28.0	0.8/1.3	60.0	0.8	0.8	1.5	0.8	1.0	1.1	0.1	1.3	1.0	6.1
დ. აფხაზავა	8	20.9	1.8/7.0	25.0	1.5/5.8	26.1	0.3/1.3	20.0	0.9/1.1	77.8	0.3	2.4	2.6	4.0	2.9	1.0	0.3	1.6	2.1	4.6
ნ. დარბაიძე	8	19.8	2.0/4.0	50.0	2.0/4.0	50.0	0.0/0.0	0.0	0.5/2.0	25.0	1.0	2.3	3.3	0.8	1.9	1.3	0.4	1.6	1.3	4.5
ს. აკობია	8	12.3	1.3/3.0	41.7	1.3/2.4	52.6	0.0/0.6	0.0	0.3/1.4	18.2	0.3	1.9	2.1	1.4	1.3	1.3	0.3	2.3	1.4	2.8
გ. ცხოვრებოვი	8	10.1	0.4/1.1	33.3	0.4/1.0	37.5	0.0/0.1	0.0	0.4/0.8	50.0	1.0	1.6	2.6	1.8	0.8	0.1	0.5	1.6	0.8	1.1
ნ. ლოლიშვილი	7	5.9	0.1/1.6	9.1	0.0/0.3	0.0	0.1/1.3	11.1	0.0/0.0	0.0	0.3	0.9	1.1	0.6	0.1	0.1	0.1	0.7	0.0	0.4
გუნდური											3.0	3.3	6.3		0.4			0.0		
სრული	8		31.0/71.9	43.1	25.4/49.5	51.3	5.6/22.4	25.1	19.4/31.1	62.2	18.3	30.3	48.5	16.8	19.0	13.0	4.3	20.9	24.8	87.0



პირველად, ევროპული კალათბურთის ისტორიაში 3X3 კალათბურთში კონტინენტის პირველობა 2014 წელს გაიმართა. საქართველოს ნაკრებს მასში მონაწილეობის მისაღებად მცირედი, უფრო ზუსტად კი 1 ჩაგდებული ბურთი დააკლდა. 4 კალათბურთელისგან შემდგარმა საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღო, რომელსაც 19 ივლისს ჰოლანდიის დედაქალაქმა ამსტერდამმა უმასპინძლა.



საქართველოს ნაკრები შემდეგი კალათბურთელებისგან დაკომპლექტდა: ირაკლი ჩლაიძე, მიხეილ ფანჩულიძე, ვახტანგ ქადარია და ირაკლი ალხანაიძე. ამ კვარტეტს ჰოლანდიაში, შესაჩევ ტურნირზე ფედერაციის 3X3 კალათბურთის განყოფილების უფროსი გიგა გურგენიძე და დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი ზაბახიძეც გაჰყვნენ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 3 ტურად ჩატარდა. საკვალიფიკაციო ტურნირები გაიმართა ლატვიასა და უნგრეთში, საქართველოს ნაკრებს კი ასპარეზობა ჰოლანდიაში მოუწია, სადაც მთლიანობაში თავი 8 გუნდმა მოიყარა.

8 გუნდი 2 ქვეჯგუფში განაწილდა. ერთი წრის შემდეგ ნაკრებები თავიანთ ჯგუფებში 1-4 ადგილზე განთავსდნენ და მეოთხედფინალში დაკავებული ადგილების შესაბამისად, ჯვარედინი სისტემით დაწყვილდნენ: I-IV, II-III, III-II, IV-I. ფინალური ეტაპის საგზურებს მეოთხედფინალებში გამარჯვებული გუნდები იღებდნენ.

ქართველებმა ჯგუფის პირველ მატჩში რუსეთთან 13:19 წააგეს, მეორე შეხვედრაში შვედეთი 16:3 გაანადგურეს, რის შემდეგაც, დასკვნით ტურში თურქეთს დაუპირისპირდნენ. მატჩი დაძაბულად წარიმართა, რომლის დასკვნით ნაწილში თურქებმა იძალეს და 4 ქულის სხვაობით – 16:12 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში ჯგუფის მეორეადგილოსან რუმინეთს შეხვდა.

რუმინეთი სექტემბერში გასამართი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი გახლდათ და აღნიშნული ტურნირის საგზური განაღდებული ჰქონდა, საქართველოს კი გამარჯვება სჭირდებოდა, ფინალური ეტაპის საგზური რომ მოეპოვებინა. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. მსაჯების მიერ გამოხატული გარკვეული მხარდაჭერით რუმინელებმა საბოლოოდ 21:17 გაიმარჯვეს და საქართველო იმის იმედად დარჩა, რომ ოთხეულში შესული რუმინეთის გამოთავისუფლებული საგზური შეხვდებოდა.









სამწუხაროდ, ეს საგზური ანდორელებს ერგოთ, რომლებსაც ქართველებზე ოდნავ უკეთესი ბურთების შეფარდება აღმოაჩნდათ და ტურნირზე მე-5 ადგილი დაიკავეს. საქართველოს ნაკრებს ნებისმიერ მანამდე გამართულ მატჩში 1 ბურთით მეტი რომ ჩაეგდო, საგზური ჩვენ დაგვრჩებოდა.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 7 სექტემბერს ბუქარესტში ჩატარდა, სადაც რუმინეთის ნაკრები ფინალში სლოვენიის ძლევით კონტინენტის ჩემპიონი გახდა.





საქართველოს XXIII ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა 9 გუნდმა მიიღო. წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით მონაწილეთა რაოდენობა ორით შემცირდა, რაც სტუდენტური გუნდების დაშლამ გამოიწვია. უმაღლეს სასწავლებლებს განათლების სამინისტროსგან გაუუქმდათ დაფინანსება, რომელიც მათ საკალათბურთო კლუბებისთვის ეძლეოდათ და ამას სახელმწიფო, სამედიცინო და ტექნიკური უნივერსიტეტების გუნდების დაშლა მოჰყვა.

დანაკლისის პარალელურად სუპერლიგას 1 გუნდი შეემატა. 4-წლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონატს დაუბრუნდა „მაქაბი“ და გუნდების რაოდენობა საბოლოოდ 9-მდე შეივსო: დინამო, შსს-აკადემია, არმია, ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, რუსთავი, ოლიმპი და მაქაბი.

რეგულარული ჩემპიონატი ტრადიციულად 2 წრედ ჩატარდა. გუნდები შინ და სტუმრად შეხვდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც 8 საუკეთესო მეოთხედფინალში დაწყვილდა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების უმეტესობა შედარებით თანაბარი დონის იყო, მეოთხედფინალური სერიაში მატჩების რაოდენობა გაიზარდა. პირველად, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში, მეოთხედფინალი 3 მოგებამდე გაიზარდა.

რეგულარული ჩემპიონატი საინტერესოდ წარიმართა. ბრძოლა უფრო დაძაბული ცხრილის ზედა ნაწილში

იყო, სადაც ერთმანეთს დინამო, არმია, შსს-აკადემია, ქუთაისი და ბათუმი ეპაექრებოდნენ. ამ ბრძოლაში ჩართვის სურვილი ჰქონდა „სოხუმსაც“, თუმცა ამ გუნდმა უფრო თასის გათამაშებაში გამოავლინა საკუთარი ამბიციები, როცა ფინალში გასვლა მოახერხა.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებული „დინამო“ გახდა, რომელმაც იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც „არმიამ“, თუმცა ამ უკანასკნელს ურთიერთშეხვედრების ხარჯზე აჯობა. თანაბარი ქულები დააგროვეს „ქუთაისმა“ და „შსს-აკადემიამაც“, უპირატესობა კი იმერულ გუნდს ერგო, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა და თავიდან აირიდა მე-5 ადგილზე გასულ „ბათუმთან“ მეოთხედფინალში პაექრობა.

მეოთხედფინალი სუპერლიგების ისტორიაში ყველაზე საინტერესო გამოდგა. „სოხუმმა“ დიდი ბრძოლა გაუმართა „ქუთაისს“, რომელსაც სერიას ორჯერ უგებდა, თუმცა მე-5, გადამწყვეტ მატჩში ქუთაისელებმა დაძაბულ ბრძოლაში – 71:67 იძალეს და ნახევარფინალში გააღწიეს. 4 მატჩი დასჭირდა „შსს-აკადემიასა“ და „ბათუმს“ შორის გამარჯვებულის გამოვლენას. ზღვისპირელებმა თბილისში 2 მატჩი მოუგეს „ძალოვნებს“ და ბათუმში გაცვლილი წაგებ-მოგების შემდეგ სერიაში 3:1 იმარჯვეს.

ნახევარფინალში „ბათუმი“ „დინამოს“ დაუწყვილდა, „არმია“ – „ქუთაისს“. პირველ წყვილში უთანასწორო ბრძოლა გაიმართა. მართალია, ბათუმელები „დინამოს“ ლეგიონერების რაოდენობით არ ჩამოუვარდებოდნენ, თუმცა კლასში აშკარად დაიჩაგრნენ და სერია მშრალი ანგარიშით – 0:3 წააგეს. მეორე ნახევარფინალი კი ძალიან დაძაბული გამოდგა. საქმე მე-5, გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა, რომელშიც მასპინძელი „არმია“ იყო. ქუთაისლებმა გადამწყვეტი შეხვედრა უფრო მობილიზებულად ჩაატარეს და არსებობის მანძილზე ფინალში პირველად გავიდნენ.

ნახევარფინალური სერიის დროს მაყურებელი საინტერესო ნოვაციის მომსწრე გახდა. სუპერლიგის ორგანიზატორებმა წამახალისებელი გათამაშება წამოიწყეს, რომლის ფარგლებშიც ნახევარფინალური სერიის ნებისმიერ მატჩზე



მისულ გულშემატკივარს სოლიდური პრიზის მოგების შანსი ეძლეოდა.

თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჯამში გამართულ 8 ნახევარფინალურ მატჩზე 4-4 მაყურებელი გამოვლინდა, რომლებმაც ფინალში გადასვლის უფლება საჯარიმო სროლებით მოიპოვეს. გათამაშების ფინალური ეტაპი სუპერლიგის ფინალური სერიის პირველი მატჩის შესვენებაზე გაიმართა და მისმა გამარჯვებულმა, 12 წლის ლუკა ტიმოშენკომ კალათბურთის ფედერაციის გენერალური პარტნიორისგან, კომპანია „ბორჯომისგან“ პლაზმური ტელევიზორი მიიღო. მეორე და მესამე ადგილზე გასულმა მონაწილეებმა „ბორჯომისგან“ მობილური ტელეფონი და ფოტოკამერა მიიღეს. სუპერლიგის გენერალურმა სპონსორმა, აზარტული თამაშების კომპანია „ევროპაბეთმა“ გამარჯვებულები, შესაბამისად, 500, 300 და 200 ლარით დააჯილდოვა. ფინალური ტურნირის ყველა მონაწილეს, ჯამში 16 ადამიანს, კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია „ნატახტარმა“ საკუთარი ბრენდული პროდუქცია გადასცა.

საკალათბურთო კლუბ „ქუთაისის“ სამწუხაროდ ფინალური სერია აღმოჩნდა მაქსიმუმი, რასაც იმერულმა კლუბმა მიაღწია. თბილისში დინამოელებმა 2 შეხვედრა უპრობლემოდ მოიგეს (104:55; 92:61), ქუთაისში მასპინძლებმა ჩამორჩენა კი შეამცირეს, თუმცა სერიის მე-4 მატჩი გადამწყვეტი აღმოჩნდა. „დინამომ“ ბრწყინვალე სტილში 91:58 იმარჯვა და 2003 წლის შემდეგ ჩემპიონობა პირველად, მთლიანობაში კი მესამედ მოიგო.



europe-bet.com

ლიდერი კომპანია აზარტული თამაშების სფეროში




სუპერლიგა


SEASON 2013-2014
GEORGIA

სუპერლიგა 1 წრე:
1 ტური

19.10.13	გუნდი	ანგ
	მაქაბი	83
	შსს აკადემია	87
19.10.13	გუნდი	ანგ
	ოლიმპი	86
	ბათუმი-რსუ	105
19.10.13	გუნდი	ანგ
	სოხუმი	57
	ქუთაისი	81
19.10.13	გუნდი	ანგ
	არმია	76
	რუსთავი	50

სუპერლიგა 1 წრე:
2 ტური

25.10.13	გუნდი	ანგ
	ბათუმი-რსუ	61
	არმია	71
25.10.13	გუნდი	ანგ
	ქუთაისი	100
	რუსთავი	67
26.10.13	გუნდი	ანგ
	დინამო	70
	სოხუმი	63
26.10.13	გუნდი	ანგ
	ოლიმპი	96
	მაქაბი	59

სუპერლიგა 1 წრე:
3 ტური

01.11.13	გუნდი	ანგ
	რუსთავი	45
	სოხუმი	78
01.11.13	გუნდი	ანგ
	ქუთაისი	117
	მაქაბი	69
04.11.13	გუნდი	ანგ
	დინამო	95
	ბათუმი-რსუ	93
04.11.13	გუნდი	ანგ
	არმია	70
	შსს აკადემია	55

სუპერლიგა 1 წრე:
4 ტური

08.11.13	გუნდი	ანგ
	ბათუმი-რსუ	87
	ქუთაისი	85
09.11.13	გუნდი	ანგ
	შსს აკადემია	85
	ოლიმპი	59
09.11.13	გუნდი	ანგ
	დინამო	97
	რუსთავი	62
09.11.13	გუნდი	ანგ
	მაქაბი	72
	არმია	116

სუპერლიგა 1 წრე:
5 ტური

13.11.13	გუნდი	ანგ
	ოლიმპი	73
	არმია	96
13.11.13	გუნდი	ანგ
	შსს აკადემია	64
	ქუთაისი	75
13.11.13	გუნდი	ანგ
	მაქაბი	61
	დინამო	95
14.11.13	გუნდი	ანგ
	ბათუმი-რსუ	68
	სოხუმი	67

სუპერლიგა 1 წრე:
6 ტური

22.11.13	გუნდი	ანგ
	ბათუმი-რსუ	102
	რუსთავი	74
22.11.13	გუნდი	ანგ
	ქუთაისი	83
	ოლიმპი	64
25.11.13	გუნდი	ანგ
	დინამო	85
	შსს აკადემია	49
25.11.13	გუნდი	ანგ
	სოხუმი	129
	მაქაბი	74

სუპერლიგა 1 წრე:
7 ტური

29.11.13	გუნდი	ანგ
	რუსთავი	68
	შსს აკადემია	71
29.11.13	გუნდი	ანგ
	ბათუმი-რსუ	110
	მაქაბი	79

სუპერლიგა 1 წრე:
8 ტური

07.12.13	გუნდი	ანგ
	მაქაბი	59
	რუსთავი	94
07.12.13	გუნდი	ანგ
	არმია	70
	ქუთაისი	68

სუპერლიგა 1 წრე:
9 ტური

13.12.13	გუნდი	ანგ
	რუსთავი	68
	ოლიმპი	66
13.12.13	გუნდი	ანგ
	ქუთაისი	83
	დინამო	78

სუპერლიგა 1 წრე: 7 ტური			
30.11.13	გუნდი	ანგ	
	სოხუმი	82	
	ოლიმპი	74	
30.11.13	გუნდი	ანგ	
	დინამო	79	
	არმია	61	

სუპერლიგა 1 წრე: 8 ტური			
07.12.13	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	79	
	სოხუმი	89	
07.12.13	გუნდი	ანგ	
	ოლიმპი	60	
	დინამო	104	

სუპერლიგა 1 წრე: 9 ტური			
14.12.13	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	75	
	ბათუმი-რსუ	72	
14.12.13	გუნდი	ანგ	
	არმია	56	
	სოხუმი	79	

სუპერლიგა 2 წრე: 1 ტური			
31.01.14	გუნდი	ანგ	
	ბათუმი-რსუ	71	
	ოლიმპი	61	
31.01.14	გუნდი	ანგ	
	ქუთაისი	77	
	სოხუმი	68	
01.02.14	გუნდი	ანგ	
	რუსთავი	58	
	არმია	68	
03.02.14	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	137	
	მაქაბი	56	

სუპერლიგა 2 წრე: 2 ტური			
07.02.14	გუნდი	ანგ	
	რუსთავი	87	
	ქუთაისი	81	
08.02.14	გუნდი	ანგ	
	არმია	93	
	ბათუმი-რსუ	65	
08.02.14	გუნდი	ანგ	
	მაქაბი	74	
	ოლიმპი	116	
08.02.14	გუნდი	ანგ	
	სოხუმი	59	
	დინამო	93	

სუპერლიგა 2 წრე: 3 ტური			
14.02.14	გუნდი	ანგ	
	ბათუმი-რსუ	59	
	დინამო	72	
15.02.14	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	74	
	არმია	92	
15.02.14	გუნდი	ანგ	
	მაქაბი	52	
	ქუთაისი	91	
15.02.14	გუნდი	ანგ	
	სოხუმი	79	
	რუსთავი	65	

სუპერლიგა 2 წრე: 4 ტური			
21.02.14	გუნდი	ანგ	
	რუსთავი	79	
	დინამო	101	
21.02.14	გუნდი	ანგ	
	ქუთაისი	90	
	ბათუმი-რსუ	73	
22.02.14	გუნდი	ანგ	
	ოლიმპი	59	
	შსს აკადემია	81	
22.02.14	გუნდი	ანგ	
	არმია	107	
	მაქაბი	83	

სუპერლიგა 2 წრე: 5 ტური			
07.03.14	გუნდი	ანგ	
	ქუთაისი	78	
	შსს აკადემია	81	
08.03.14	გუნდი	ანგ	
	არმია	85	
	ოლიმპი	53	
08.03.14	გუნდი	ანგ	
	დინამო	104	
	მაქაბი	53	

სუპერლიგა 2 წრე: 6 ტური			
14.03.14	გუნდი	ანგ	
	რუსთავი	62	
	ბათუმი-რსუ	85	
15.03.14	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	67	
	დინამო	63	
15.03.14	გუნდი	ანგ	
	ოლიმპი	96	
	ქუთაისი	102	
15.03.14	გუნდი	ანგ	
	მაქაბი	105	
	სოხუმი	120	

სუპერლიგა 2 წრე:
7 ტური

22.03.14	გუნდი	ანგ	
	მაქაბი	74	
	ბათუმი-რსუ	130	
22.03.14	გუნდი	ანგ	
	არმია	61	
	დინამო	86	
22.03.14	გუნდი	ანგ	
	ოლიმპი	94	
	სოხუმი	96	
22.03.14	გუნდი	ანგ	
	შსს აკადემია	104	
	რუსთავი	78	

სუპერლიგა 2 წრე:
8 ტური

04.04.14	გუნდი	ანგ	
	რუსთავი	74	
	მაქაბი	59	
04.04.14	გუნდი	ანგ	
	ქუთაისი	85	
	არმია	96	
05.04.14	გუნდი	ანგ	
	სოხუმი	102	
	შსს აკადემია	109	
05.04.14	გუნდი	ანგ	
	დინამო	91	
	ოლიმპი	69	

სუპერლიგა 2 წრე:
9 ტური

12.04.14	გუნდი	ანგ	
	ოლიმპი	74	
	რუსთავი	70	
12.04.14	გუნდი	ანგ	
	დინამო	64	
	ქუთაისი	66	
12.04.14	გუნდი	ანგ	
	სოხუმი	79	
	არმია	100	

სუპერლიგა

სატურნირო მდგომარეობა

		გუნდი	თ	მ/წ.	ბურთები	ქულა
1		დინამო	16	13 / 3	1377 / 1045	29
2		არმია	16	13 / 3	1318 / 1120	29
3		ქუთაისი	16	11 / 5	1362 / 1173	27
4		შსს აკადემია	16	11 / 5	1238 / 1129	27
5		ბათუმი-რსუ	16	9 / 7	1201 / 1104	25
6		სოხუმი	16	8 / 8	1247 / 1210	24
7		რუსთავი	16	4 / 12	1101 / 1300	20
8		ოლიმპი	16	3 / 13	1200 / 1352	19
9		მაქაბი	16	0 / 16	1112 / 1723	16

სეზონის ლიდერები

ქულა	მოხსნა	პასი
		
ჯუნიორ ქედუგინი 21.4	სტევან მილოშევიჩი 12.6	გიორგი გამყრელიძე 7.9

პლეიოფის ლიდერები

ქულა	მოხსნა	პასი
		
ჯუნიორ ქედუგინი 22.5	გიორგი ყველაშვილი 14	გიორგი გამყრელიძე 8.4



PLAYOFF

1/4

დინამო*	103	89	101	
ოლიმპი	65	49	64	

შსს აკადემია	62	82	78	69
ბათუმი-რსუ*	74	89	72	84

არმია*	84	100	63	
რუსთავი	65	66	61	

ქუთაისი*	67	81	54	74	71
სოხუმი	78	70	65	60	67

1/2

დინამო*	68	96	70	
ბათუმი-რსუ	57	69	59	

არმია	73	66	84	79	81
ქუთაისი*	72	80	80	82	91

ფინალი

დინამო*	104	92	84	91	
ქუთაისი	55	61	89	58	

მე-3 ადგილისთვის

არმია*	115
ბათუმი-რსუ	105

PLAYOUT

7-8

სოხუმი	64
ოლიმპი*	76

შსს აკადემია*	115
ოლიმპი	76

5-6

შსს აკადემია*	113
რუსთავი	89

სოხუმი	97
რუსთავი*	102



დინამო

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ხოშტარია, ასისტენტები: ამროსი ორმოცაძე, მამუკა ტურაშვილი

	სეზონი			2 ქულა			3 ქულა			საშ.			მოხსნა			საერთო					
	წელი	თ	წ	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ	პას	ჯარ	დაკ	ჩაჭ	დაფ	ქულ
გიორგი გამყრელიძე	13–14	22	29.5	2.5	5.6	43.9	0.9	2.7	33.9	2.1	3	70.1	0.6	3.8	4.4	8.1	2.1	2.8	1.6	0	9.8
იოსებ ლეჟავა	13–14	14	8.9	0.7	1.3	55.6	0.3	1.4	21.1	0.1	0.1	100	0.2	0.9	1.1	1.4	0.5	0.4	0.4	0	2.4
ქიენ კარტერი	13–14	26	25.9	6.4	11.7	54.8	0.3	0.7	36.8	1.8	2.9	62.7	3	5.6	8.6	1.3	1.7	1.6	1.3	0.6	15.4
ბესიკ ლეჟავა	13–14	26	28.9	3.1	5.9	52.9	1.8	5.4	34	1.3	1.8	71.7	0.8	2.8	3.6	3.4	1.7	2	0.9	0.2	13
გიორგი ვახანია	13–14	10	5.7	0.5	1.4	35.7	0.4	0.7	57.1	0.5	1.1	45.5	0.2	0.6	0.8	0.7	1.1	0.4	0.5	0	2.7
იოსებ ბიბილური	13–14	10	4.1	0.9	1.5	60	0	0	0	0	0.4	0	0.9	0.9	1.8	0.2	0.9	0.5	0	0	1.8
ზეზვა ლილუაშვილი	13–14	18	13.1	0.9	2.1	45.9	0.4	1.7	22.6	0.1	0.2	50	0.3	1.1	1.4	2	1.2	0.7	0.7	0	3.2
სტევან მილოშევიჩი	13–14	26	27	6.5	10.5	62.3	0	0.1	0	3.5	5	70	4.3	8.7	12.9	1.8	1.3	1.9	0.5	1.4	16.6
მილოშ პესიჩი	13–14	26	20.4	3.3	6.5	51.2	0.7	1.9	38.8	1.5	2.5	61.5	1.7	3.6	5.3	1.9	2	1.4	0.6	0.4	10.4
მიხეილ ჭოჭუა	13–14	24	26	2.6	4.6	56.8	1.5	3.4	44.4	1.3	1.8	70.5	0.5	2.5	3	2.3	2.8	1.4	0.8	0.2	11
ზვიად ანთაძე	13–14	15	10.7	1.3	2.1	59.4	0.3	1	26.7	0.6	0.9	69.2	1.2	2.1	3.3	0.7	1.1	0.3	0.7	0.2	3.9
გიორგი ორმოცაძე	13–14	19	7.5	0.4	0.9	41.2	0.2	1.5	14.3	0.1	0.2	66.7	0.8	0.4	1.2	0.5	0.9	0.2	0.5	0	1.5
ბოსკო სტოიაკოვიჩი	13–14	18	19.9	1.7	3	57.4	0.6	2.2	25	1.4	1.9	73.5	0.8	2.2	3	4.1	2.4	0.7	1	0	6.5
გიორგი თვალაბეიშვილი	13–14	2	10	1.5	3.5	42.9	0	0.5	0	1	1	100	1	3	4	0	2	0	0.5	0	4



არმია

მთავარი მწვრთნელი: კოტე ტუღუში, ასისტენტები: ანატოლი ბერიშვილი, ვაჟა მხეიძე

	სეზონი			2 ქულა			3 ქულა			საშ.			მოხსნა			საერთო					
	წელი	თ	წ	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯამ	პას	ჯარ	დაკ	ჩაჭ	დაფ	ქულ
თეიმურაზ ბაბუნაშვილი	13–14	23	18.9	1.4	2.6	55	0.8	3.1	25.4	0.5	0.7	73.3	0.7	1.7	2.3	1.7	1.7	1.2	1.1	0	5.7
ზვიად ბაბიაშვილი	13–14	23	17	3.6	7.3	49.4	0.3	1.2	21.4	0.5	1.1	46.2	2.5	2.5	5	0.8	1.5	1.6	0.6	0.3	8.5
ანატოლი ბოისა	13–14	24	20.8	0.6	2.2	28.8	0.8	3.8	20.9	0.8	1.3	58.1	0.8	2.7	3.5	1.5	2.7	1.1	0.8	0.2	4.4
მიხეილ ბერიშვილი	13–14	23	26.3	2	4	51.6	1.3	3.4	39.7	2	2.5	82.5	1.2	4.3	5.5	3.1	2.3	1.7	1	0.4	10.2
ვაჟა ჯანაშია	13–14	4	10.5	0.3	2.8	9.1	0.8	2	37.5	2.3	3.5	64.3	2	2.8	4.8	0.3	1	0.8	0	0.3	5
ბუბა კვიმსაძე	13–14	22	17.2	1	1.7	60.5	0.7	2.1	32.6	0.8	1	81.8	0.2	2.7	3	2.2	2	1.4	1	0.1	5
ილია შიოლაშვილი	13–14	4	8.8	1.5	3.8	40	0	0	0	0.3	0.5	50	1.3	1.3	2.5	0.8	1.8	0.8	0.5	0.8	3.3
გიორგი ჯგერენაია	13–14	24	17.2	3.3	6.4	50.6	0	0.2	20	1.8	3	60.3	2.5	3.5	6.1	1	2.5	1.8	0.5	0.9	8.5
ბექა წივწივაძე	13–14	25	28.1	2.8	5	54.8	1.7	5	33.3	2.1	2.7	77.9	0.4	3.3	3.8	5	2.4	3.1	1.4	0.2	12.7
ჟოლივეტ ტუჯანი	13–14	16	13.6	1.8	3.4	52.7	0	0.1	0	0.4	1.1	41.2	1.4	1.8	3.2	1.1	1.5	1.4	0.4	0.1	4.1
მამუკა ბაზუაშვილი	13–14	1	11	2	9	22.2	0	0	0	0	0	0	1	2	3	0	0	1	1	0	4
გიორგი შარაბიძე	13–14	24	26.1	4.9	7.9	61.6	0.4	1.4	29.4	3.6	4.3	82.7	2.7	5	7.8	1.3	2.7	2	0.8	0.7	14.6
31	გიორგი ჯგერენაია		20:50	12	18	66.7	0	1	0.0	0	0	0.0	6	2	8	1	0	0	1	1	0	24
44	დავით გუგავა		14:08	1	3	33.3	0	0	0.0	0	0	0.0	0	3	3	0	0	0	0	2	2	2
	Team												1	0	1	0	0	0	0	0	0	
	Total			41	71	57.75	12	41	29.27	0	0	0.00	20	25	45	32	3	1	15	13	3	118

ოთარ ქორქიას

ლეგენდარული ქართველი კალათბურთელისა და მწვრთნელის – ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასი 2014 წელს „ქუთაისი 2010“-მა მოიგო. იმერული კლუბი სუპერთასის მფლობელი არსებობის ისტორიაში პირველად გახდა.

ქუთაისელებისთვის გასული სეზონი საუკეთესო იყო. მალხაზ კოხრეიძისა და მედეა მხეიძის გაწვრთნილმა გუნდმა საქართველოს თასი და სუპერთასი მოიგო, ამასთან, პირველად გავიდა ეროვნული ჩემპიონატის ფინალში, სადაც „დინამოსთან“ სერიაში 1:3 დამარცხდა.

სწორედ „დინამო“ იყო ქუთაისელების სუპერთასის მოცილე. მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, სადაც იმერულმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და სეზონის ბოლო ტიტულს დაეუფლა.

მატჩის ბომბარდირი ქუთაისელი გიორგი ბარბაქაძე გახდა 22 ქულით, აკაკი დვალიშვილმა გამარჯვებულებს 18 ქულა და 14 მოხსნა შესძინა, ხოლო დავით ბარბაქაძის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა. „დინამოში“ შედეგიანობით გამოირჩა ქიან კარტერი (16 ქულა, 13 მოხსნა), 15 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა სტევან მილოშევიჩს, ლაშა გამყრელიძემ კი შეხვედრა 14 პასითა და 8 ქულით დაასრულა.

ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის, ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი გუნდის კაპიტანს, დავით ბარბაქაძეს ოთარ ქორქიას შვილმა, ნოდარ ქორქიამ და ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ გადასცეს.

ტრადიციისამებრ, სუპერთასის დასრულების შემდეგ სეზონის გამორჩეული მოთამაშეები და მწვრთნელი









სახელოგის სუპერთასი



დაასახელეს. სუპერლიგის 2013-2014 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გახდა საკალათბურთო კლუბ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, ირაკლი ხოშტარია, რომელსაც ცნობილი ქართველი მწვრთნელის, გიორგი ავალიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა. სეზონის საუკეთესო მწვრთნელი პრიზით დააჯილდოვა გიორგი ავალიშვილის ქალიშვილმა, ქეთევან ავალიშვილმა.

სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი, რომელიც ტრაგიკულად დაღუპული ზვიად მიქაძის ოჯახმა და მეგობრებმა დააწესეს, გადაეცა ქუთაისის მოთამაშე ლევან გრძელიძეს. სეზონის საუკეთესო ახალგაზრდას პრიზი ზვიად მიქაძის შვილებმა სალომემ და იოანემ გადასცეს.

2013-2014 წლების სეზონის საუკეთესო მოთამაშე (MVP) გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა. ჟურნალისტების, მწვრთნელებისა და კომისრების გამოკითხვის შედეგად საუკეთესო სამეული გამოვლინდა.

მე-3 ადგილი – გიორგი გამყრელიძე (დინამო), მე-2 ადგილი – აკაკი დვალიშვილი (ქუთაისი). ხოლო სეზონის საუკეთესო მოთამაშე (MVP) გახდა საკალათბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მოთამაშე სტევან მილოშევიჩი.

სტევან მილოშევიჩი საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზით დააჯილდოვა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ.



დინამო – ქუთაისი 74:80 (23-24; 18-15; 18-20; 15-21)

დინამო

N	მოთამაშე	სტ	წთ	2-ქულიანი			3-ქულიანი			საჯარიმო			მოხსნა			პ	პფ	მფ	დკ	ჩჯ	დფ	ქ
				ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯ							
4	გიორგი გამყრელიძე	*	38:19	4	7	57.1	0	2	0.0	0	2	0.0	0	1	1	14	3	3	2	1	0	8
6	ქიან კარტერი	*	34:18	8	11	72.7	0	1	0.0	0	0	0.0	3	10	13	0	2	1	1	6	0	16
7	ბესიკ ლეჟავა	*	34:50	2	6	33.3	1	6	16.7	6	7	85.7	0	3	3	4	4	4	3	2	0	13
8	გიორგი ვახანია		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
9	იოსებ ბიბილური		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
10	ზეზვა ლილუაშვილი		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
11	სტევან მილოშევიჩი	*	33:21	6	9	66.7	0	0	0.0	3	6	50.0	3	5	8	1	2	4	3	1	0	15
12	მილოშ პესიჩი		13:27	4	10	40.0	0	3	0.0	3	4	75.0	3	1	4	0	2	3	2	0	1	11
13	მიხეილ ჭოჭუა	*	30:34	4	6	66.7	0	3	0.0	2	3	66.7	0	4	4	2	5	2	1	0	0	10
15	ზვიად ანთაძე		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
20	გიორგი ორმოცაძე		00:48	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
24	ბოსკო სტოიაკოვიჩი		14:23	0	1	0.0	0	2	0.0	1	2	50.0	1	1	2	1	1	2	1	0	0	1
	Team												1	3	4	0	0	0	0	0	0	
	Total			28	50	56.00	1	17	5.88	15	24	62.50	11	28	39	22	19	19	13	10	1	74

ქუთაისი

N	მოთამაშე	სტ	წთ	2-ქულიანი			3-ქულიანი			საჯარიმო			მოხსნა			პ	პფ	მფ	დკ	ჩჯ	დფ	ქ
				ჩ	ს	%	ჩ	ს	%	ჩ	ს	%	მ	ს	ჯ							
4	ზაურ ფაშაევი	*	36:50	2	8	25.0	1	5	20.0	8	9	88.9	3	3	6	5	3	7	7	0	0	15
6	ლევან გრძელიძე		09:43	0	0	0.0	0	3	0.0	0	0	0.0	0	3	3	1	2	1	2	1	0	0
7	რევაზ დიდია		18:29	0	1	0.0	1	4	25.0	0	2	0.0	0	1	1	5	2	1	1	1	0	3
9	დიმიტრი დვალიშვილი		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
10	ნოდარ მესხი		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
12	გიორგი ცირეკიძე		04:30	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	1	1	1	1	0	0	0	0	0
13	დავით ბარბაქაძე	*	25:17	2	7	28.6	4	7	57.1	2	2	100.0	1	0	1	1	4	1	0	2	1	18
14	ავთანდილ ლომინაშვილი	*	29:41	2	8	25.0	0	0	0.0	0	0	0.0	3	5	8	1	5	1	2	3	0	4
15	გიორგი ბარბაქაძე	*	35:30	8	10	80.0	1	2	50.0	3	5	60.0	4	4	8	3	1	3	2	1	0	22
21	აკაკი დვალიშვილი	*	40:00	5	11	45.5	1	1	100.0	5	8	62.5	3	11	14	3	2	5	1	1	0	18
22	ბექა ქორიძე		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
23	უჩა გამრეკლიძე		00:00	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
	Team												1	2	3	0	0	0	0	0	0	
	Total			19	45	42.22	8	22	36.36	18	26	69.23	15	30	45	20	20	19	15	9	1	80







	მოთამაშე	ქულა
1.	სტევან მილოშევიჩი	68
2.	აკაკი დვალიშვილი	55
3.	გიორგი გამყრელიძე	37
4.	ჯუნიორ ქედუგანი	26
5.	ლევან ცეკვავა	25
6.	ქიენ კარტერი	21
7.	ლაშა ფარღალავა	8
8.	ირაკლი ჩლაიძე	6
9.	ანატოლი ბოისა	4
10.	გრიგოლ შვანგირაძე	2
10.	ზაურ ფაშაევი	2
10.	გიორგი ბარბაქაძე	2
11.	ბექა წივწივაძე	1
11.	ლევან ფაცაცია	1
11.	მიხეილ ჭოჭუა	1

ჟურნალისტი	საინფორმაციო საშუალება	I	II	III
ელენე ბილიხოძე	საზ. მაუწყებელი	მილოშევიჩი	გამყრელიძე	დვალიშვილი
დავით ერაძე	რუსთავი 2	გამყრელიძე	კარტერი	ფარღალავა
ჯემალ ფარცახაშვილი	რუსთავი 2	მილოშევიჩი	გამყრელიძე	დვალიშვილი
სანდრო გოჩაშვილი	იმედი	მილოშევიჩი	ქედუგანი	დვალიშვილი
ვახტანგ გაფრინდაშვილი	მაესტრო	ქედუგანი	მილოშევიჩი	კარტერი
გეგი კიკაბიძე	GDS	მილოშევიჩი	კარტერი	დვალიშვილი
რეზი ხუციშვილი	TV3	ბოისა	შვანგირაძე	გ.ბარბაქაძე
დავით ხვადაგიანი	TVS	კარტერი	ცეკვავა	გამყრელიძე
გიორგი ჭანიშვილი	სპორტის სამინისტრო	კარტერი	მილოშევიჩი	გამყრელიძე
ლექსო მაისურაძე	სპორტის სამინისტრო	მილოშევიჩი	კარტერი	დვალიშვილი
როლანდ ლაბუჩიძე	მსოფლიო სპორტი	დვალიშვილი	ჩლაიძე	ფარღალავა
გოჩა კაჭარავა	მსოფლიო სპორტი	გამყრელიძე	დვალიშვილი	ფარღალავა
ვაჟა სიმონიშვილი	ლელო	მილოშევიჩი	დვალიშვილი	გამყრელიძე
გია პლატონიშვილი	საქართველოს რესპუბ.	გამყრელიძე	დვალიშვილი	ფარღალავა
მიხეილ ჟორჟოლიანი	ახალი თაობა	მილოშევიჩი	დვალიშვილი	გამყრელიძე
მალხაზ გედევანიშვილი	რადიო კომერსანტი	მილოშევიჩი	ცეკვავა	გამყრელიძე
კახა გელაშვილი	რადიო იმედი	მილოშევიჩი	ცეკვავა	ჩლაიძე
ნინო თვალავაძე	რადიო ჯაკო	გამყრელიძე	დვალიშვილი	კარტერი
დავით ჭელიძე	რადიო ჯაკო კალათბურთი +	ფარღალავა	გამყრელიძე	დვალიშვილი
მირანდა სურმანიძე	რადიო STARFM	დვალიშვილი	მილოშევიჩი	ქედუგანი
მანანა სურმანიძე	geosports.ge	ქედუგანი	დვალიშვილი	მილოშევიჩი
ლევან ხარაზოვი	fanebi.com	მილოშევიჩი	დვალიშვილი	ჩლაიძე
სალომე ბალახაშვილი	allsport.ge	ცეკვავა	დვალიშვილი	გამყრელიძე
გიორგი ჯაფარიძე	allsport.ge	გამყრელიძე	ცეკვავა	დვალიშვილი
მწვრთნელი	გუნდი	I	II	III
ირაკლი ხოშტარია	დინამო	მილოშევიჩი	გამყრელიძე	ქედუგანი
კოტე ტუღუში	არმია	ცეკვავა	დვალიშვილი	კარტერი
მალხაზ კოხრეიძე	ქუთაისი	დვალიშვილი	ფაშაევი	ცეკვავა
არჩილ ჟღენტი	შსს აკადემია	დვალიშვილი	ცეკვავა	ქედუგანი
მიხეილ კობეშავიძე	ბათუმი	მილოშევიჩი	დვალიშვილი	წივწივაძე
ვაჟა კვარაცხელია	სოხუმი	მილოშევიჩი	ჩლაიძე	ფაცაცია
ოთარ ხმელიძე	რუსთავი	დვალიშვილი	ცეკვავა	ჭოჭუა
დავით თორთლაძე	ოლიმპი	ქედუგანი	ცეკვავა	მილოშევიჩი
ჯამლეტ ხუხაშვილი	მაქაბი	დვალიშვილი	მილოშევიჩი	გამყრელიძე
თამაშის კომისარი	I	II	III	
როლანდ ხომერიკი	ქედუგანი	ცეკვავა	დვალიშვილი	
როლანდ გელოვანი	კარტერი	გამყრელიძე	გ.ბარბაქაძე	
თენგიზ ქიქოძე	ქედუგანი	მილოშევიჩი	დვალიშვილი	
გია სანაძე	მილოშევიჩი	დვალიშვილი	ქედუგანი	

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით 2013-14 წლების სეზონშიყველაზე მასშტაბური ღონისძიება ჩაატარა – 3X3 კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ტურნირმა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი, მთლიანობაში 11 ქალაქი მოიცვა. ტურნირისკულმინაციაფინალური ეტაპი იყო,რომელსაც „თბილისი მოლმა“ უმასპინძლა. ჩემპიონის ტიტულისთვის ერთმანეთს საქართველოს 16 საუკეთესო გუნდი დაუპირისპირდა.

3X3 კალათბურთი ევროპასა და მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს.სპორტის ამ სახეობას საქართველოში საკმარისი ტრადი-

3X3 კალათბურთში

ცია აქვს, თუმცა ბოლო 2 წელია, ქუჩის კალათბურთი მეტად მოწესრიგებული გახდა და ის როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, ეროვნული ფედერაციების დონეზე ავიდა.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობამ 3X3 კალათბურთის ცალკე განყოფილება შექმნა და რამდენიმე ფართომასშტაბიანი ტურნირი ჩაატარა.

კალათბურთის ფედერაციამ 3X3 კალათბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვისშეიძინა ფიბა-ს სტანდარტების, ულტრათანამედროვე, გადასატანი მოედანი, რომელზეც გაიმართა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში.





ეროვნული ჩემპიონატი ვერ ჩატარდებოდა, რომ არა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და სპონსორების მხარდაჭერა. პარტნიორებმა ტურნირის ჩატარებისთვის პრიზების და სხვა საჭირო ატრიბუტიკის მობილიზება უზრუნველყვეს.

ტურნირის გენერალური სპონსორი გახლდათ კომპანია „სამსუნგი“, გენერალური პარტნიორი – „ბორჯომი“, წარმოდგენილი მისი ბრენდით „მიტარბი“, პარტნიორი ტურისტული კომპანია – „Trawellin“, ტურნირის ოფიციალური მასპინძელი –„TBILISI MALL“, საინფორმაციო პარტნიორი - ტელეკომპანია „აფხაზეთის ხმა".

საქართველოს ჩემპიონატი საზეიმოდ „თბილისი მოლში“ გაიხსნა, სადაც თბილისის შესარჩევი ტური გაიმართა. ამას მოჰყვა შესარჩევი ტურნირები მცხეთაში, თელავში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ამბროლაურში, ქუთაისში, ბორჯომში, გორსა და რუსთავში. დებულების თანახმად, დედაქალაქის შესარჩევი ტურიდან საუკეთესო 6 გუნდი გადავიდა ფინალში, ხოლო რეგიონებიდან თითო საუკეთესომ მოიპოვა 13 ივლისს, „თბილისი მოლში“ გასამართი ფინალური ეტაპის საგზური.

ფინალურ ტურნირში თავი 16-მა გუნდმა მოიყარა, რომლებიც 4 ჯგუფში გადანაწილდნენ. მომდევნო ეტაპზე, მეოთხედფინალში თითო ჯგუფის 2 საუკეთესო, მთლიანობაში 8 გუნდი გავიდა. თამაშები საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობდა. ნახევარფინალში თავი მოიყარეს სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენელმა L.R.G-იმ და თბილისურმა გუნდებმა - PINE CONE



JAMS, ELITE CACTUS და EUROSTEP. ფინალში ასპარეზობის უფლება L.R.G-იმ და ELITE CACTUS-მა მოიპოვეს, საჩემპიონო მატჩი კი ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა.

მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებით დროში, 1 ქულის სხვაობით ზუგდიდურმა L.R.G-მა მოიგო და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ჩემპიონი გუნდის ლიდერი მიხეილ ფანჩულიძე ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. კალათბურთის ფედერაციისგან ფანჩულიძემ სპეციალური პრიზი მიიღო, ხოლო ტურნირის გენერალური პარტნიორის კომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენელმა ნანიკო კუპრაშვილმა გამარჯვებული პლანშეტური კომპიუტერით დააჯილდოვა. ტურნირის ოფიციალურმა მასპინძელმა, ,,თბილისი მოლმა“ საუკეთესო მოთამაშეს სასაჩუქრე ვაუჩერი გადასცა. ფანჩულიძე აღნიშნული პრიზით „თბილისი მოლის“ დირექტორის, გარი დარკლისგან დაჯილდოვდა.

პლეი ოფის მსვლელობისას გაიმართა კონკურსები სამქულიან სროლებსა და ბურთის ეფექტურ გდებებში. ჩატენვების კონკურსს ტრადიციული გამარჯვებული ჰყავს. ბოლო წლებია, ჩატენვებში პირველობას არავის უთმობს ირაკლი ალხანაიძე, რომელმაც ამჯერადაც იმარჯვა. ალხანაიძემ დამსახურებულად აჯობა კონკურენტებს – ოთო ბულიავას, კახა გიორგაძეს და დავით იოსელიანს. კონკურსის გამარჯვებულს კალათბურთის ფედერაციისგან და კომპანია „სალერისგან“ პრიზები გადაეცათ.

TBILISI MALL
Trawellin'
აფხაზეთის ხმა
FMABKHAZIA.COM

July 12

TBILISI

July 3

Ambrolauri



June 30

Ozurgeti



July 4

Borjomi



June 29

Batumi



June 26

Telavi



July 6

Gori

June 30

Ozurgeti

July 2

Kutaisi











July 1

Zugdidi

Rustavi

June 24

Mtskheta













საქართველოს კალათბურთის
ეროვნული ნაკრების
გენერალური პარტნიორი

საქართველოს ჩემპიონატი 3X3 კალათბურთში

3-ქულიანების კონკურსი საინტერესოდ ჩატარდა. ტურნირში მეოთხედფინალში გასული გუნდების თითო წარმომადგენელი მონაწილეობდა და შეჯიბრებაც პლეი ოფის სისტემით წარიმართა. კონკურსანტები ისე დაწყვილდნენ მეოთხედფინალში, როგორც მათი გუნდები - პლეიოფში.

გამარჯვება ყოფილმა კალათბურთელმა, ბექა გოლეთიანმა მოიპოვა, რომელმაც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ დაწესებულ სპეციალურ თასთან ერთად ტურნირის ერთ–ერთი სპონსორისგან, კომპანია „სალერის" აღმასრულებელ დირექტორ ლევან ხარებავასგანსპორტული ეკიპირების კომპლექტი ჩაიბარა.

ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. საქართველოს ჩემპიონატის მეორე ადგილოსანი გუნდი „ელიტ კაქტუსი" შესაბამისი მედლებით და სიგელებით დაჯილდოვეს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა.

3X3 საქართველოს ჩემპიონატის გენერალურმა სპონსორმა, კომპანია ,,სამსუნგმა" მეორეადგილოსან გუნდს ,,სამსუნგის" ტელევიზორები უსახსოვრა. გუნდის წევრებს პრიზები კომპანიის წარმომადგენელმა ზაალ ხელაძემ გადასცა.

L.R.G-ის გუნდი მედლებით, სიგელებით და ჩემპიონის თასით ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და მინისტრმა ლევან ყიფიანმა დააჯილდოვეს.

მთავარი პრიზით კი 3X3 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონი დასაჩუქრდა.რუმინეთში ერთ-ერთ ევროტურზე გასამგზავრებელი საგზური ,,L.R.G"-ის ტურნირის პარტნიორმა, ტურისტული კომპანია „თრეველინის" წარმომადგენელმა თათა წიკლაურმა გადასცა.





3X3
WINNERS







SPORT SYSTEM





SAMSUNG


კალათბურთის ეროვნული ფედერაციის



მინერალური წყალი „ბორჯომი“ უკვე მეოთხე წელია საქართველოს ეროვნული ნაკრების პარტნიორია. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად, მსოფლიოში სახელგანთქმული „ბორჯომი“ 2014 წელს, წინაწლების მსგავსად, კვლავაც ქართული კალათბურთის განვითარებას უდგას მხარში.

კომპანია “ბორჯომი“ გასული 4 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა კალათბურთის ფედერაციასთან და გარდა იმისა, რომ ეროვნული ნაკრების გენერალური პარტნიორია, ფედერაციასთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებშიც აქტიურად იღებს მონაწილეობას.



კომპანია „ნატახტარმა“ საქართველოს ეროვნულ საკალათბურთო ნაკრებთან თანამშრომლობა გაახანგრძლივა. ნაკრების გენერალური სპონსორი კალათბურთის ფედერაციასთან ახალ ხელშეკრულებაზე შეთანხმდა, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაფორმდა.

„ნატახტარი“ ეროვნულ ნაკრებს და ზოგადად ქართულ კალათბურთს წლებია, მხარში უდგას. კომპანია 2011 წლიდან ეროვნული საკალათბურთო ნაკრებს სპონსორობდა და ეს მნიშვნელოვანი თანამშრომლობა კიდევ ორი წელი გაგრძელდება.



ტექნიკის სახლი „ოქეი“ საკალათბურთო სუპერლიგის ტექნიკური სპონსორი გახდა. თანამშრომლობა სუპერლიგის საჭირო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფას გულისხმობს, რის სანაცვლოდაც „ოქეიმ“ გასულ სეზონში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ტექნიკური სპონსორის სტატუსით ისარგებლა.

ხელშეკრულებას, რომელიც 1 წლით განისაზღვრა, ხელი კომპანია „ოქეის“ მმართველმა პარტნიორმა ბაადურ კოპლატაძემ და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ მოაწერეს.

მემორანდუმები პარტნიორ კომპანიებთან



საკალათბურთო სუპერლიგის პარტნიორთა რიცხვს 2013 წელს საქვეყნოდ ცნობილი ბრიტანული კომპანია „ვიტაბიოტიკსი“ შეემატა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაფორმდა და აღნიშნულმა კომპანიამ სუპერლიგის გენერალური პარტნიორის სტატუსი მიიღო.

ბრიტანული კომპანია „ვიტაბიოტიკსი“ სპორტსმენებისთვის საჭირო ვიტამინებს აწარმოებს, რომლებიც 100 პროცენტით ნატურალურია და ადამიანის ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებას, ფიზიკურ დატვირთვებთან ადაპტაციას უწყობს ხელს. „ვიტაბიოტიკსი“ ყველასთვის კარგად ნაცნობი ლიტვური კლუბის – „ჟალგირისის“ გენერალური პარტნიორია. აღნიშნულმა კომპანიამ საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგასთან პარტნიორობის ხელშეკრულება 2014-2015 წლების სეზონის ბოლომდე გააფორმა.



„ბრიტანულმა ცენტრმა“, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამავრცელებელია, საკალათბურთო ასაკობრივი ლიგების ხელმძღვანელობასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. ხელშეკრულების საფუძველზე ასაკობრივი ჩემპიონატის გამორჩეული მოთამაშეები „ბრიტანულ ცენტრში“ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსებით დაჯილდოვდნენ.

მემორანდუმი თბილისის სპორტის სასახლეში გაფორმდა და მასზე ხელი სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ზაბახიძემ და „ბრიტანული ცენტრის“ მენეჯერმა თორნიკე გიორგაძემ მოაწერეს.



აზარტული თამაშების კომპანია „ევროპაბეთი“ საკალათბურთო სუპერლიგის გენერალური სპონსორი პირველად 2013 წელს გახდა. თანამშრომლობა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო და წარმატებით განხორციელდა სეზონის განმავლობაში. „ევროპაბეთი“ სუპერლიგის ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებასა და გათამაშებაში მონაწილეობდა, სადაც გულშემატკივრებისა და სპორტსმენებისთვის სხვადასხვა პრიზებს აწესებდა.



საქართველოში „სამსუნგ ელექტრონიქსის“ ოფიციალური წარმომადგენლობა 3X3 კალათბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის გენერალური სპონსორი გახდა. „სამსუნგ ელექტრონიქსის“ კავკასიის რეგიონალურმა დირექტორმა სანგ პილ ჩანმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ თანამშრომლობის მემორანდუმი „სამსუნგის“ ბრენდ-მაღაზიაში გააფორმეს. 3X3 კალათბურთის ჩემპიონატი საქართველოს 11 ქალაქში გაიმართა.





საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ 2014 წელს მინისაკალათბურთო ფესტივალი „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ ერთად ჩაატარა. ფესტივალი თბილისის სპორტის სასახლეში 31 მაისს გაიხსნა, რომლის დასრულების შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ნუგზარ კევლიშვილმა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ მოაწერეს. ფესტივალის ფარგლებში მთლიანობაში 150-ამდე მატჩი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 500-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო.



კომპანია „ჰიუნდაი ავტო საქართველომ“ 2013 წელს საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობა გაახანგრძლივა. „ჰიუნდაი“ 2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონსორია და აღნიშნული სტატუსით კიდევ მინიმუმ 2 წელი ისარგებლებს.

სპონსორობის ახალი მემორანდუმი კომპანია „ჰიუნდაის“ ოფისშიგაფორმდა. მემორანდუმზე ხელი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ დირექტორმა დავით გიორგობიანმა მოაწერეს.

„ჰიუნდაი“ საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონსორი 2009 წელს გახდა, რის შემდეგაც ნაკრებმა პირველად, არსებობის ისტორიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა მოახერხა.

HYUNDAI NEW THINKING. NEW POSSIBILITIES.



საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და კომპანია „პსპ“-ს შორის რამდენიმე წლიანი თანამშრომლობის საფუძველზე ახალი მემორანდუმი გაფორმდა. ფარმაცევტულმა კომპანიამ და ფედერაციის ხელმძღვანელობამ ახალი, 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმეს, რითაც კომპანია „პსპ“-ს ეროვნული ნაკრების ტექნიკური სპონსორის სტატუსი კიდევ 2 წლით გაუხანგრძლივდა.

„პსპ“ კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან 2011 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს და ეროვნულ ნაკრებთან ერთად მედიკამენტებით ასაკობრივ ნაკრებებსაც ამარაგებს.



სასიამოვნო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ქართული სპორტის მატიანეს ახალგაზრდა კალათბურთელები ცნობილ სპორტსმენებთან ერთად სისტემატიურად გაეცნობიან.



კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და სპორტის მუზეუმს შორის მემორანდუმი მუზეუმში გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ და მუზეუმის დირექტორმა ნანა მიქაძემ მოაწერეს.



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია სამოყვარულო ლიგის ორგანიზებაში აქტიურად ჩაერთო. აღნიშნული ლიგის პირველ სეზონში ეროვნული ფედერაცია კალათბურთის მსაჯთა კავშირის მეშვეობით მატჩების მსაჯებითა და მდივნებით მომსახურებას უზრუნველყოფდა, მეორე სეზონიდან კი ორგანიზებაში კალათბურთის ფედერაციის როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სამოყვარულო ლიგის დამფუძნებლებსა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძეს შორის შეთანხმება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მინისტრ ლევან ყიფიანის თანდასწრებით შედგა. სამოყვარულო ლიგა გაფართოვდა, არაპროფესიონალ კალათბურთელთა შორის ლიგაში მონაწილეობის სურვილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აღნიშნული ტურნირის ორგანიზებაც შედარებით მაღალ საფეხურზე ავიდა.

სოციალური აქციები კალათბურთის



სეზონის პირველი აქცია სუპერლიგამ „ბეკოსთან“ ერთად განახორციელა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, სუპერლიგისა და კომპანია ”ბეკოს” ორგანიზებით სექტემბრის თვეში თბილისის სპორტის სასახლეში მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა. ეროვნული ჩემპიონატის წამყვანმა მოთამაშეებმა 16-წლამდელთა ჩემპიონატის 100-ზე მეტ მონაწილეს ღია ვარჯიში ჩაუტარეს და თითოეულს ფიბა-ს ლიცენზირებული ბურთები გადასცეს.

„ბეკო“ სლოვენიაში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის გენერალური სპონსორი იყო და სწორედ ამ კომპანიამ ჩამოიტანა საქართველოში საკალათბურთო ბურთები, რომლებიც 100-ზე მეტ ბავშვს დაურიგდა. სპორტის სასახლეში ჩატარებული მასტერკლასი „დინამოს“ უკანახაზელმა ბესო ლეჟავამ და „შსს აკადემიას“ წევრმა რეზო როგავამ ჩაატარეს.





სანამ ღონისძიების უშუალოდ სპორტული მხარე დაიწყებოდა, სასახლეში შეკრებილ 100-ზე მეტ მოზარდს სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ და „ბეკოს“ მარკეტინგის მენეჯერმა ირინა გრძელიძემ სიტყვით მიმართეს. ნაკრების წევრმა, ბესო ლეჟავამ და კანდიდატმა, რეზო როგავამ ახალგაზრდებს ტრენინგი ჩაუტარეს. კალათბურთელები ბავშვებს ჯერ მათთვის საინტერესო თემებზე გაესაუბრნენ, რის შემდეგაც მცირე საკალათბურთო ვარჯიში ჩაუტარეს.

„არა ბიონარკოტიკს“ - ფაჩულია, ბოისა, ტუღუში და 16-წლამდელთა ნაკრები აქციას შეუერთდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტინარკოტიკულ კამპანიაში კალათბურთელებმაც მიიღეს მონაწილეობა. კამპანიის ფარგლებში, კალათბურთის აკადემიის დარბაზში ეროვნული ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისა და საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისა და კლუბ „არმიას“ მწვრთნელი კოტე ტუღუში 16-წლამდელთა საკალათბურთო ნაკრებს შეხვდნენ. პროფესიონალმა კალათბურთელებმა ახალგაზრდებს მასტერკლასი მოუწყვეს. შეხვედრაზე სპორტსმენებმა ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობასა და ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარების საფრთხეებზე ისაუბრეს. კალათბურთელებმა ერთად მოუწოდეს ქართველ ახალგაზრდებს აქტიურად ჩაერთონ სპორტულ ღონისძიებებში და უარი თქვან ნებისმიერი სახის ნარკოტიკის მიღებაზე.





ეროვნულ ფედერაციასთან ერთად

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ სუპერლიგის მონაწილე კლუბ „სოხუმთან“ ერთად წინაასააღდგომო საქველმოქმედო აქცია გამართა.

სუპერლიგის ხელმძღვანელობა და „სოხუმის“ მოთამაშეები ბავშვთა სახლ „მომავლის გზას“ ესტუმრნენ და სახლის 25 აღსაზრდელს წინასააღდგომოდ ტკბილეული, სააღდგომო კვერცხი, საკალათბურთო ბურთები და სხვა საჩუქრები გადასცეს. აღსაზრდელებმა „სოხუმის“ მოთამაშეებისგან სამახსოვროდ გუნდის მაისურებიც მიიღეს.

„მომავლის გზის“ ბავშვთა სახლისთვის სააღდგომო საჩუქრები კომპანია „ბორჯომმა“, „თბილისი 31-მა“ და „ბელამ“ დააწესეს.















დამოუკიდებლობის დღე და პირველი ტურნირი გოგონათა 3X3 კალათბურთში



26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, რუსთაველის გამზირზე არა ერთი სამხედრო, კულტურული და სპორტული ღონისძიება გაიმართა. სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ წინამდებარე ტერიტორიაზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით საკალათბურთო შეჯიბრი ჩატარდა გოგონათა შორის. ეს იყო პირველი ტურნირი 3X3 კალათბურთში გოგონათა შორის.

ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. მონაწილე 6 გუნდი 2 ჯგუფში იყო განაწილებული. ნახევარფინალში 2-2 საუკეთესო გავიდა.ნახევარფინალში „ოვერტაიმმა“ 7:1 დაამარცხა „ბოლ დანქერსი“, ხოლო „ედელვაისმა“ „ნექსთ ლეველს“ 7:5 სძლია. ფინალურ დაპირისპირებამდე გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის, რომელშიც „ნექსთ ლეველმა“ დამატებით დროში – 10:8 დაამარცხა „ბოლ დანქერსი“.

ფინალური შეხვედრაც დაძაბული გამოდგა. თანაბარ ბრძოლაში საბოლოოდ გამარჯვება „ოვერტაიმმა“ მოიპოვა, რომელმაც 6:4 დაამარცხა „ედელვაისი“ და ჩემპიონი გახდა. გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ ვიკა გეგეშიძე, ელენე ილურიძე, ნატალია ოთხმეზური და მაგდა სვიანაძე.

დაჯილდოვების ცერემონიალზე სამივე პრიზიორ გუნდს მედლები და შესაბამისი სიგელები გადაეცათ. გამარჯვებულები სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა - პაპუნა ფირალიშვილმა დააჯილდოვა, ხოლო „ოვერტაიმს“ საჩემპიონო თასი სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების ალმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ზაბახიძემ გადასცა.



სპორტის დღე და 3X3 კალათბურთი კუს ტბაზე

6 აპრილს, სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს კუს ტბამ უმასპინძლა, სადაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და შესაბამისი ფედერაციების დახმარებით სხვადასხვა სახეობებში საინტერესო შეჯიბრებები გაიმართა.

ერთ-ერთი გამორჩეული და მასშტაბური საკალათბურთო ტურნირი იყო, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. თითო ჯგუფიდან ნახევარფინალში 2 საუკეთესო გავიდა.

ჯგუფური ეტაპის მატჩების დასრულებისას ტურნირის მონაწილეებს შეხვდნენ და მათთან სამახსოვრო სურათები გადაიღეს საკალათბურთო სუპერლიგის მოთამაშეებმა. კუს ტბაზე გამართული ტურნირის სანახავად და ბავშვებთან შესახვედრად „სოხუმის“, „დინამოს“, „არმიას“, „შსს-აკადემიის“ და „ოლიმპის“ კლუბის წევრები მივიდნენ. სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად საკალათბურთო ტურნირი მოინახულა სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ლევან ყიფიანმა, მისმა მოადგილეებმა, დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებმა.

ნახევარფინალში „დინამომ“ 13:4 სძლია „ბასტიონს“, ხოლო „შსს-ორბმა“ 5:2 დაამარცხა „მართვე“. მესამე ადგილისთვის მატჩში



მართველებმა „ბასტიონს“ დაძაბულ ბრძოლაში - 10:8 სძლიეს, ხოლო ჩემპიონი „დინამო“ გახდა, რომელმაც ფინალში „შსს-ორბს“ შანსი არ დაუტოვა - 13:5.

ჩემპიონის გამოვლენის შემდეგ გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. მესამე ადგილზე გასული „მართვე“ მედლებით დააჯილდოვა სუპერლიგის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ რუაძემ. მეორეადგილოსანი „შსს-ორბის“ წევრები კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 3X3 კალათბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა გიგა გურგენიძემ დააჯილდოვა, რომელმაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს, დინამოელ თორნიკე ანჯაფარიძეს სპეციალური პრიზი - საკალათბურთო ბურთი გადასცა.

ტურნირის გამარჯვებული დინამოელები მედლებითა და სპეციალური საჩემპიონო თასით დააჯილდოვა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა გიორგი ჩხეიძემ.



მედია ტურნირი ბაჩოს თასი 2014

ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ჟურნალისტის, ბაჩო სვანიძის ტრადიციული მედია-ტურნირი გასულ წელს ფეხბურთთან ერთად კალათბურთშიც ჩატარდა. საკალათბურთო შეჯიბრის ორგანიზატორი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად კალათბურთის ეროვნული ფედერაციაც იყო.

ტურნირის ჯგუფური ეტაპი 29 ივნისს, ვაკის პარკის საკალათბურთო მოედანზე გაიმართა, სადაც ფინალისტები გამოვლინდნენ, ხოლო საჩემპიონო მატჩი 13 ივლისს, 3X3 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალის წინ, „თბილისი მოლში“ ჩატარდა.



ფინალურ მატჩში ერთმანეთს „რუსთავი 2“-ის და სპორტის სამინისტროს პრეს-სამსახურის გუნდები შეხვდნენ. ტელევიზიის გუნდმა მეტოქე 14:4 დაამარცხა და „ბაჩოს“ თასს დაეუფლა. თასი და სპორტის სამინისტროსგან დაწესებული საჩუქრები გამარჯვებულს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა, ნუგზარ კანდელაკმა გადასცა.

საუკეთესო მოთამაშედ „რუსთავი 2“-ის წევრი, დიმიტრი ობოლაძე დასახელდა, რომელსაც კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი გადაეცა.



3X3 კალათბურთი სტუდენტური დღეები 2014-ის ფარგლებში

4-5 ივნისს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან სტუდენტური ტურნირი გაიმართა 3X3 კალათბურთში. შეჯიბრი „სტუდენტური დღეები 2014 - ევროპული მომავლისთვის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა და მისი ორგანიზატორი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მხარდამჭერები კი საუნივერსიტეტო სპორტის და კალათბურთის ეროვნული ფედერაციები გახლდნენ.

ტურნირის მთავარი დამახასიათებელი შტრიხი გახლდათ სათამაშო მოედანი, რომელიც კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით შეიძინა და რომელზეც პირველად სტუდენტებმა ითამაშეს. მოედანი ულტრათანამედროვეა და მისი ანალოგი საქართველოში არ არის. იგი სტანდარტული, საკალათბურთო მოედნის ზომებისაა და იშლება ნებისმიერ ადგილას, სადაც საჭირო ფართის სწორი ზედაპირია.

„სტუდენტური დღეები 2014“-ის მონაწილეებმა ახალ მოედანზე საინტერესო თამაში გააჩაღეს. ტურნირში სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა სასწავლებლების გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა. მთლიანობაში შეჯიბრში 20-ზე მეტი გუნდი ასპარეზობდა, რომლებიც 4 ქვეჯგუფში იყვნენ გადანაწილებულნი.

პლეი ოფში 16 მათგანი გავიდა, რომლებმაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა 1/8 ფინალიდან დაიწყეს. ნახევარფინალში თსუ-მ 14:10 მოუგო სამედიცინო უნივერსიტეტს, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა „ილიაუნის“ 18:7 აჯობა. მესამე ადგილისთვის მატჩში მედიკოსებმა ბოლო წამზე - 14:13 დაამარცხეს „ილიაუნი“, საჩემპიონო მატჩში კი სტუ-მ 20:12 სძლია თსუ-ს და ჩემპიონისთვის დაწესებული სპეციალური თასი მედლებთან ერთად ჩაიბარა.



აღსანიშნავია, რომ ტურნირი ფიბა-ს ეგიდით ჩატარდა, რომლის მიმდინარეობა 3X3 კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვებ-გვერდზე ხორციელდებოდა. ყველა მოთამაშე დარეგისტრირებული იყო ფიბა-ს საიტზე და წარმატებული გუნდების წევრებს პირად რეიტინგში ქულები დაერიცხათ.

გამარჯვებულ სტუ-ს თასი „სტუდენტური დღეები 2014“-ის კოორდინატორმა ტატა ხვედელიანმა გადასცა. პრიზიორი გუნდები მედლებით დააჯილდოვეს სპორტის სამინისტროს ახალგაზრდული დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბექა ბენდელიანმა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა შოთა ბაქრაძემ.

საუკეთესო მოთამაშე გახდა სტუ-ს წევრი აკაკი ლომოური, რომელსაც ტურნირის სპონსორ კომპანია „ბილაინისგან“ მობილური ტელეფონი გადაეცა.



RED BULL KING OF THE ROCK



ერთი-ერთზე ქუჩის კალათბურთში მსოფლიოში ცნობილ ტურნირს Red bull King of The Rock-ის ფინალს ტაივანის კუნძულმა სამასანამ უმასპინძლა. მსოფლიო ფინალში საქართველოს სახელს ვახტანგ ქადარია იცავდა, რომელმაც ნახევარფინალში გასვლით სოლიდურ წარმატებას მიაღწია. ქადარიამ ტაივანში გასამართი მსოფლიო ფინალის საგზური საქართველოს რეგიონალური ჩემპიონატის გამარჯვებით მოიპოვა.

Red Bull King of The Rock-ის საქართველოს ტურნირი 4 ეტაპად გაიმართა. შესარჩევი ტურნირები კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში ჩატარდა. ფინალურ ტურნირს კი შარშანდელის მსგავსად რაბათის ციხესიმაგრემ უმასპინძლა.

ქადარია ტაივანში Red bull King of The Rock-ის საქართველოს ჩემპიონის რანგში იმყოფებოდა, დანარჩენი 31 მონაწილე კი მსოფლიოს 22 ქვეყანას წარმოადგენდა.

ქადარიას პირველ წრეში ამერიკელი უილიამსი შეხვდა, რომელსაც დამაჯერებლად სძლია. მეორე წრეში – მერვედფინალში ქართველ სპორტსმენს გასული წლის Redbull King of The Rock-ის ტრიუმფატორი, ამერიკის განთქმულ ციხე „ალკატრასში“ გაჩემპიონებული ტარონ უილიამსი შეხვდა. ქადარიამ მოქმედ ჩემპიონს არაფერი დაუთმო და გზიდან ჩამოიშორა.

ვახტანგს მეოთხედფინალშიც ამერიკელი შეხვდა, რომელსაც წინა მეტოქეების მსგავსად გაუსწორდა და ტურნირის 4 საუკეთესო მონაწილეს შორის მოხვდა. ქადარიამ ნახევარფინალში მარცხი მომავალ ჩემპიონთან, 37 წლის კივანჩ დილნერთან განიცადა. თურქი კალათბურთელი ტურნირის მონაწილეთაგან ყველაზე ხნიერი იყო, თუმცა გამოცდილებისა და ძალთა სწორი გადანაწილების ხარჯზე ფინალში „მსოფლიო კლდის მეფის“ ტიტული მოიპოვა.



3X3 კალათბურთში იუსტიციის სამინისტროს თასის გათამაშება

26 ივლისს იუსტიციის სამინისტროს თასი გათამაშდა 3X3 კალათბურთში, რომელიც თბილისის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ტურნირში იუსტიციის დეპარტამენტები და ამ უწყებას დაქვემდებარებული სხვადასხვა სამსახურები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრში 11 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც პირველ ეტაპზე ჯგუფებში იყვნენ გაწილებულნი. ჯგუფურმა ეტაპმა საუკეთესო 8 გუნდი გამოავლინა, რომლებმაც პირველობისთვის ბრძოლა მეოთხედფინალიდან გააგრძელეს.

ფინალში „მთავარი პროკურატურა“ და „იუსტიციის სახლი 2“ გავიდნენ. ჩემპიონი იუსტიციის სახლის გუნდი გახდა, რომელმაც მეტოქე 10:5 დაამარცხა.

დაჯილდოვების ცერემონიალის პირველი ნაწილი მე-2 ადგილზე გასული გუნდის დაჯილდოვებას დაეთმო. პრიზიორები იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა, საქართველოს კალათბურთის სამოყვარულო ლიგის დამფუძნებელმა, აღნიშნული ტურნირის გამართვის იდეის ავტორმა ერეკლე ამაშუკელმა დააჯილდოვა.

პრიზიორებისთვის ორგანიზატორებმა საინტერესო მედლები და თასები დაამზადეს. თასს იუსტიციის სამინისტროს მთავარი ოფისიც შენობის ფორმა ჰქონდა, ხოლო მედლებიც ასეთივე ფორმის გახლდათ.

პირველ ადგილზე გასული „იუსტიციის სახლის“ წევრები მედლებით იუსტიციის მინისტრის მოადგილემ - მიხეილ სარჯველაძემ დააჯილდოვა. ტუნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული თასი გამარჯვებული გუნდის ლიდერს, 2003-2004 წლებში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრ შიო ხეცურიანს საკალათბურთო სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ გადასცა.

„3X3 კალათბურთში იუსტიციის თასი 2014“-ის გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, შიო ხეცურიანს საჩემპიონო თასი მიხეილ სარჯველაძემ უსახსოვრა.







საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

3X3 კალათბურთში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შიდა ჩემპიონატი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 3X3 კალათბურთში შიდა ჩემპიონატი გაიმართა, რაშიც აღნიშნულ უწყებას კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაეხმარა.

ჩემპიონატში მონაწილეობა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ეროვნული სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის და ეროვნული სააგენტოს გუნდებმა მიიღეს. გამარჯვება სსიპ ეროვნული სატყეო-სააგენტოს გუნდმა მოიპოვა. გარდა ამისა, გამოვლინდა შეჯიბრის საუკეთესო მოთამაშე - დავით ენდელაძე.

კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამარჯვებული გუნდი საქართველოს 3X3 კალათბურთის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.











რიჩარდ სტოკსის მეორე ვიზიტი საქართველოში

ფიბა-ევროპის მსაჯთა და საშეჯიბრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რიჩარდ სტოკსი საქართველოში სემინარების ჩასატარებლად იმყოფებოდა. ევროპელი ჩინოსანის ეს მეორე ვიზიტი იყო საქართველოში - ანალოგიური მისიით სტოკსი თბილისში 2013 წელსაც იყო .

სტოკსის კომბინირებული სემინარები განკუთვნილი იყო მსაჯებისთვის, კომისრებისთვის, მსაჯ-მდივნებისა და მწვრთნელებისთვის. ევროპელი სპეციალისტის სემინარები 3-დღიანი გახლდათ. პირველ და მეორე დღეს სტოკსმა თეორიული სემინარები სასტუმრო „შერატონში“ გამართა, ხოლო მესამე დღეს საკალათბურთო სუპერლიგის მატჩებს დაესწრო და მატჩების მომსახურე მსაჯების საქმიანობას მონიტორინგი გაუწია, რის შემდეგაც მათ ინსტრუქტაჟი ჩაუტარა.

სემინარების ჩატარებასთან ერთად რიჩარდ სტოკსმა თბილისში სხვა მისიაც შეასრულა. როგორც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ტექნიკური დელეგატი, სტოკსი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და “თბილისი 2015”-ის ხელმძღვანელებს შეხვდა და ახალგაზრდული ფესტივალისთვის განკუთვნილ საკალათბურთო არენებს ინსპექტირება ჩაუტარა.

რიჩარდ სტოქსი, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე, გენერალური მდივანი გიორგი ქართველიშვილი და ფიბა-სთან





ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მერაბ რატიშვილი სემინარებს შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა და მისმა მოადგილემ, თამაზ თევზაძემ მიიღეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოში კალათბურთის განვითარების პერსპექტივებს, ფიბა-ევროპის პროგრამების ჩვენს ქვეყანაში განხორციელებას, ინფრატუქტურის მოწესრიგებას და მსაჯების, კომისრების და მწვრთნელების დონის ამაღლებას.



ევგენი გომელსკის ვიზიტი თბილისში

ლეგენდარული საკალათბურთო ოჯახის წარმომადგენელი, ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი და საპატიო პრეზიდენტი ევგენი გომელსკი საქართველოს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა. მასთან ერთად საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ მოსკოვის „დინამოს“ პრეზიდენტი გორ ხეჩოიანი და კლუბის გენერალური დირექტორი სერგეი სკოროჩკინი.

საპატიო სტუმრებს საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ უმასპინძლა. 1992 წლის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი ევგენი გომელსკი ლეგენდარული ალექსანდრ გომელსკის ძმაა. როცა ეს უკანასკნელი მოსკოვის ცსკა-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად წარმატებებს აღწევდა, ევგენი გომელსკიმ ბარსელონის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებს ოქროს მედლები მოაგებინა. ის ასევე იყო „მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელი და ცსკა-ს დიდ პაექრობას უწევდა.

მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელები საქართველოში კალათბურთის განვითარებით არიან დაინტერესებული და ქართულ მხარეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობა შესთავაზეს. საქმიანი თანამშრომლობა ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებს, საკალათბურთო კემპების ჩატარებას, ვეტერანთა ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავებას და სხვადასხვა საკითხებს აერთიანებს. ამ თემებზე გომელსკი და მოსკოვის „დინამოს“ მესვეურები საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ესაუბრნენ, რის შემდეგაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანსაც ეწვივნენ.



დაიგეგმა ორმხრივი ღონისძიებები და გაცვლითი პროგრამები, რომელიც მომდევნო წლებში განხორციელდება.



სტუმრად სპორტის მუზეუმში

კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მისასალმებელი ტრადიცია დაამკვიდრა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ქართველ სპორტსმენთა მოგებული ტიტულების დასათვალიერებლად ახალგაზრდა კალათბურთელების სისტემატიური სტუმრობა დაიგეგმა.

ახალგაზრდა სპორტსმენები მუზეუმს ცნობილი კალათბურთელების თანხლებით სტუმრობდნენ. მოზარდებს მუზეუმში სხვადასხვა დროს ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი და ლატვიელ ვეტერან კალათბურთელთა გუნდი ახლდნენ.

ქართველი სპორტსმენების მიერ მოგებული მედლების, სიგელებისა და სხვადასხვა ტიტულების დათვალიერებასთან ერთად ბავშვებმა ბევრი საინტერესო რამ მოისმინეს, როგორც მუზეუმის წარმომადგენლებისგან, ისე მათთან ერთად მყოფი კალათბურთელებისგან.

ეს სასიამოვნო ტრადიცია მომავალ სეზონშიც გაგრძელდება.













ლატვიელ და ქართველ ვეტერანთა ამხანაგური მატჩი სპორტის სასახლეში

საკალათბურთო კლუბ “სოხუმის” მოწვევით საქართველოში ლატვიის ქალაქ იელგავას ვეტერან კალათბურთელთა გუნდი იმყოფებოდა. ბალტიისპირელთა მიზანი ჩვენი ქვეყნის დათვალიერება და ამავდროულად, ამხანაგური მატჩების ჩატარება იყო.

ლატვიელებმა პირველი ამხანაგური მატჩი გურჯაანში, 14 მაისს გამართეს, შემდეგ კი სპორტის სასახლეში, სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის შეხვედრის შემდეგ ქართველ ვეტერანებს დაუპირისპირდნენ.





მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე შეხვედრაში ქართველებმა ანგარიშით 54 : 50იმარჯვეს. თამაშის დასრულების შემდეგ ლატვიელმა და ქართველმა ვეტერანებმა საჩუქრები გაცვალეს. სტუმრებმა კლუბ „სოხუმის“ პრეს-ატაშე, თენგიზ პაჭკორია და სუპერლიგისა და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ზაბახიძე დააჯილდოვეს.

ღონისძიება სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ვალერი ლომაძე - 75

ვეტერანი კალათბურთელი, სპორტული სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი და უკეთილშობილესი პიროვნება – ვალერი ლომაძე გასულ წელს 75 წლის შესრულდა. საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ იუბილარი ღირსეულად დააფასა და საკალათბურთო სუპერლიგის ფინალური სერიის მატჩის შესვენებისას საპატიო ჯილდო გადასცა. ფედერაციის პრეზიდენტმა, მიხეილ გაბრიჩიძემ ვალერი ლომაძე კალათბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა და ეროვნული ნაკრების 75-ნომრიანი მაისური უსახსოვრა.



საქართველოს კალათბურთის მწვრთნელთა კავშირი



საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და კალათბურთის მწვრთნელთა კავშირის ორგანიზებით 2014 წელს მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამა დაიწყო. ივლისის თვეში თბილისში, ხოლო ნოემბერში ქუთაისსა და ბათუმში პროგრამის პირველი ეტაპი გაიმართა.

პირველი ეტაპი განკუთვნილია მინი კალათბურთსა და 14 წლამდე ასაკის მწვრთნელთათვის. სემინარების გავლისა და ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ასამდე მწვრთნელმა მიიღო აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებთან მწვრთნელად მუშაობის სერთიფიკატი.

პროგრამის ფარგლებში თავდაპირველად რამდენიმედღიანი სემინარები ჩატარდა ყველა იმ კომპონენტში, რომლის სრულყოფილად ცოდნა მოზარდებში მომუშავე მწვრთნელებს მართებთ. გამოცდილმა მწვრთნელებმა, ფსიქოლოგებმა, ფიზმომზადების მწვრთნელებმა და ექიმებმა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სემინარები ჩაატარეს.

თბილისისა და ქუთაისის შემდეგ მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის პირველი ეტაპი ბათუმში, 1 დეკემბერს დასრულდა. ვისაც სურვილი ჰქონდა და პროგრამის პირველი ეტაპი ვერ გაიარა, 2015 წლის გაზაფხულზე დამატებით სემინარ-ტესტირებაში მონაწილეობის უფლება მიეცემა. პარალელურად გაიმართება აღნიშნული პროგრამის მეორე ნაწილიც, რომელშიც მონაწილეობას შედარებით მაღალ ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის მსურველი მწვრთნელები მიიღებენ მონაწილეობას.

პროგრამის დაწყებიდან 3 წლის მანძილზე არც ერთ მწვრთნელს არ მოეთხოვება კალათბურთის მწვრთნელად მუშაობისთვის სერთიფიკატის ქონა. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კალათბურთის მწვრთნელად მუშაობის მსურველს შესაბამისი სერთიფიკატი უნდა გააჩნდეს, რომელიც მხოლოდ ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარებული მწვრთნელთა გადამზადებისა და ლიცენზირების პროგრამის გავლის შედეგად გაიცემა.









საკალათბურთო კემპი



მაისის და ივლისის თვეში თბილისში 2 მასშტაბური საკალათბურთო კემპი გაიმართა, რომელსაც უცხოელი სპეციალისტები უძღვებოდნენ. სლოვენიელი და ესპანელი მწვრთნელების ხელმძღვანელობით მთლიანობაში 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა კვალიფიციური ვარჯიშები და საუკეთესოებმა საზღვარგარეთ გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს.

პირველი კემპი სახელწოდებით „NEW ERA BASKETBALL" 19-დან 23 მაისის ჩათვლით „დინამოს" ბაზაზე გაიმართა და მას სლოვენიელ მწვრთნელთა ბრიგადა უძღვებოდა, რომლებიც ახალგაზრდებს პარალელურ რეჟიმში სხვადასხვა კომპონენტში ავარჯიშებდნენ.

კემპის რამდენიმე ვარჯიშს დაესწრო ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ზაზა ფაჩულია, რომელმაც ახალგაზრდებთან ერთად ივარჯიშა კიდეც და მათ საკუთარი გამოცდილება გაუზიარა.

30 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით გამართული კემპის ორგანიზატორი კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად საკალათბურთო კლუბი სოხუმიც იყო. „SUMMER CAMP" 2014 ესპანეთში ცნობილმა და წარმატებულმა მწვრთნელმა, ანტონიო დე ტორესმა 2 ასაკობრივ კატეგორიაში ჩაატარა და შეარჩია ერთი მოთამაშე, რომლის გამგზავრებას და 1-წლიან ყოფნას კანარის კუნძულების ერთ-ერთ საკალათბურთო სკოლაში თავად უზრუნველყოფდა. ანტონიო დე ტორესის პირველი რჩეული ,,დინამოს" კალათბურთელი, 1998 წელს დაბადებული 16 წლის გიორგი გოგუა გახდა.

გიორგი გოგუასთან ერთად ესპანეთში კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი გაემგზავრა. ანტონიო დე ტორესის მორიგი რჩეული საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრი და „აკადემიის" კალათბურთელი ლუკა ბულაშვილი გახდა.








MAKE
RESULTS


15
GEORGIA


19-29 MAY
TBILISI
MAKE
RESULTS
GEORGIA




GEORGIA


BORJOMI
GMC
PSP
LAS VEGAS
BANK OF



თბილისის კალათბურთის

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირს „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ სახით საიმედო პარტნიორი გამოუჩნდა. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რის საფუძველზეც ერთობლივად ჩაატარეს საკალათბურთო ფესტივალები მინი კალათბურთში 2002 და 2003 წელს დაბადებულ ბავშვებს შორის.

გასულ წელს აღნიშნულ ასაკებში ცალცალკე ჩატარდა თბილისისა და საქართველოს ფესტივალები. მთლიანობაში 4 დამოუკიდებელი ტურნირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა 500-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა აღნიშნული ტურნირები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ჩაატარეს.





იმ ღონისძიებების გარდა, რაც საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა, მთელი სეზონის განმავლობაში დედაქალაქის საკალათბურთო შეჯიბრებები იმართებოდა. თბილისის მინიფესტივალის ჩატარებას უზრუნველყოფდნენ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი.

ორივე ორგანიზაციასთან საქართველოს კალათბურთის ფედერაციას გაფორმებული





აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც მათ თბილისში საკალათბურთო ღონისძიებების ჩატარების უფლება მიიღეს.



2002 და 2003 წელს დაბადებულთა მინისაკალათბურთო ფესტივალმა სტარტი მაისის თვეში აიღო და ივლისამდე გასტანა. 2002-წლიანთა მინიფესტივალი სპორტის სასახლეში გაიხსნა. ტურნირში მონაწილეობა დედაქალაქის 15 გუნდმა მიიღო, რომლებიც 3 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი.

ერთი წრის შემდეგ ჯგუფების 2-2 საუკეთესო და 2 საუკეთესო მესამეადგილოსანი მეოთხედფინალში გავიდნენ. წარმატებულად ჩატარებული მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის შემდეგ საჩემპიონო მატჩში ასპარეზობის უფლება „დინამომ“ და „ჰიუნდაიმ“ მოიპოვეს. ფინალში გამარჯვება ჰიუნდაელებს დარჩათ, რომლებმაც 12-წლამდელებში თბილისის საუკეთესო გუნდის ტიტული მოიპოვეს.



2003 წელს დაბადებულთა თბილისის მინისაკალათბურთო ფესტივალში 9 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. გათამაშების ფორმატი სტანდარტული იყო. ჯგუფური ეტაპი და შემდეგ პლეიოფი, სადაც ჯგუფების 2-2 საუკეთესო გუნდი ნახევარფინალში დაწყვილდა. „აკადემიამ“ „ჰიუნდაის“ ძლევით ფინალის საგზური მოიპოვა, ისევე როგორც „ოვერტაიმმა“ - „დინამოს“ ძლევით. ჩემპიონი „აკადემია“ გახდა, რომელმაც ფინალში 43:31







მოუგო „ოვერტაიმს“, ხოლო მე-3 ადგილი „დინამოს“ ერგო.

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა უფრო მასშტაბურ ტურნირებსაც გაუკეთა ორგანიზება. სეზონის დასაწყისში 14, 16 და 18-წლამდელთა შორის ჩატარდა დედაქალაქის პირველობები, რომელთა საუკეთესო გუნდებმაც საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის ძირითადი ქვოტა იყო 8 გუნდი, დანარჩენი



















ადგილები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდებმა შეავსეს.

თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა რეგულარული ჩემპიონატი ჩაატარდა იმ გუნდებს შორისაც, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვეს. 16-წლამდელთა თბილისის „ბ“ ლიგაში 14 გუნდი ასპარეზობდა, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებული. აღნიშნული ტურნირის ფინალში ერთმანეთს „მართვე 2“ და „გორი“ შეხვდნენ. გამარჯვება მართველებს დარჩათ - 59:33.

რაც შეეხება 18-წლამდელთა თბილისის „ბ“ ლიგას, მასში 9 თბილისური გუნდი ასპარეზობდა. 2 წრის შემდეგ საუკეთესო ოთხეული გამოვლინდა, რომლებიც ნახევარფინალში დაწყვილდნენ. ფინალში ასპარეზობის უფლება „აკადემიამ“ და „მართვე 3“-მა მოიპოვეს. ამ უკანასკნელმა 70:60 სძლია „აკადემიას“ და „ბ“ ლიგის გამარჯვებული გახდა.

კიდევ ერთი ტურნირი, რომელიც თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა



ჩაატარა, 13 და 14-წლამდელთა გაერთიანებული თბილისის „ბ“ ლიგა იყო. შეჯიბრებაში 16 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 3 ჯგუფში იყვნენ განაწილებულები. ჩემპიონის ტიტული სერგო იშხნელის გაწვრთნილმა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში „მართვეს“ 88:43 მოუგო.

მთლიანობაში თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირმა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა თბილისის მასშტაბით 8 ტურნირი ჩაატარეს. ამ ორგანიზაციების მხრიდან კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა იგეგმება 2014-15 წლების სეზონში.







ა - ჯგუფი	2002-წლიანთა თბილისის ფესტივალი					მ	წ	ბ	ქ	ა
აკადემია 1		52:8	73:19	36:31	31:29	4	0	192:87	8	1
თსსუ	8:52		21:39	7:32	16:27	0	4	52:150	4	5
დინამო 2	19:73	39:21		19:45	17:27	1	3	94:166	5	4
ოვერტაიმი	31:36	32:7	45:19		28:32	2	2	136:94	6	3
სოხუმი	29:31	27:16	27:17	32:28		3	1	115:92	7	2

ბ- ჯგუფი	2002-წლიანთა თბილისის ფესტივალი					მ	წ	ბ	ქ	ა
დინამო 1		40:43	75:18	62:27	64:17	3	1	241:105	7	2
ორბი-შსს	43:40		49:16	43:17	23:5	4	0	158:78	8	1
ჰიუნდაი 2	18:75	16:49		16:62	32:36	0	4	82:222	4	5
ბასტიონი	27:62	17:43	62:16		29:28	2	2	135:149	6	3
ვესტა	17:64	5:23	36:32	28:29		1	3	86:148	5	4

გ - ჯგუფი	2002-წლიანთა თბილისის ფესტივალი					მ	წ	ბ	ქ	ა
ჰიუნდაი 1		40:35	46:21	40:39	34:18	4	0	160:113	8	1
თიბისი	35:40		43:27	32:42	38:28	2	2	148:137	6	3
აკადემია 2	21:46	27:43		22:42	25:30	0	4	95:161	4	5
მართვე	39:40	42:32	42:22		42:34	3	1	165:128	7	2
ვარსკვლავები	18:34	28:38	30:25	34:42		1	3	110:139	5	3



ა - ჯგუფი	2003-წლიანთა ფესტივალი				მ	წ	ბ	ქ	ა
ჰიუნდაი		13:45	25:4	20:15	2	1	58:64	5	2
ოვერტაიმი	45:13		50:3	48:16	3	0	143:32	6	1
მთიები	4:25	3:50		9:22	0	3	16:97	3	4
აკადემია 2	15:20	16:48	22:9		1	2	53:77	4	3

ბ- ჯგუფი	2003-წლიანთა ფესტივალი					მ	წ	ბ	ქ	ა
დინამო		40:24	26:47	50:26	50:23	3	1	166:120	7	2
მართვე	24:40		24:39	46:31	45:16	2	2	139:126	6	3
აკადემია 1	47:26	39:24		48:13	58:12	4	0	192:75	8	1
აქსე	26:50	31:46	13:48		27:33	0	4	97:177	4	5
აკადემია 3	23:50	16:45	12:58	33:27		1	3	84:180	5	4



სუპერლიგა

1991 დინამო
1992-93 ვითა
1993-1994 -ვითა
1994-1995 - ვითა
1995-1996 -ვითა
1996-97 - ვითა
1997-98 - ვითა
1998-99 - ვითა
1999-2000 ბასკო
2000-01 ბასკო
2001-02 ბასკო
2002-03 დინამო
2003-04 ბასკო
2004-05 სტუ ჯეოსელი
2005-2006 თბილავიამშენი
2006-07 - ენერჯი ინვესტი
2007-08 ენერჯი ინვესტი
2008-09 ენერჯი ინვესტი
2009-10 ენერჯი ინვესტი
2010-11 არმია
2011-12 არმია
2012-13 შსს აკადემია
2013-14 **დინამო**

20-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-09 რუსთავი
2009-10 რუსთავი
2010-11 სტუ
2011-12 სოხუმი
2012-13 სოხუმი
2013-14 შსს აკადემია

18-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-09 აკადემია
2009-10 აკადემია
2010-11 სოხუმი
2011-12 ქუთაისი
2012-13 ჰიუნდაი
2013-14 აკადემია

16-წლამდელთა ჩემპიონატი

2008-09 ქუთაისი
2009-10 ქუთაისი
2010-11 აკადემია
2011-12 აკადემია
2012-13 შსს აკადემია
2013-2014 -აკადემია

დუდუ დადიანის მემორიალი

2002 - დინამო
2003 სტუ ჯეოსელი
2004 სტუ ჯეოსელი
2005 ავიამშენი
2006 ენერჯი ინვესტი
2007 ენერჯი ინვესტი
2008 ენერჯი ინვესტი
2009 ენერჯი
2010 ენერჯი ინვესტი
2011 ქუთაისი
2012 არმია
2013 სოხუმი

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ძორძიას მემორიალი

2006 რუსთავი
2007 ენერჯი ინვესტი
2008 თბილავიამშენი
2009 ენერჯი ინვესტი
2010 ენერჯი ინვესტი
2011 თსუ
2012 არმია
2013 ოლიმპი
2014 დინამო

საქართველოს თასი

2003 ბასკო
2004 დინამო
2005 სტუ
2006 თსუ ნიკორა
2007 თბილავიამშენი
2008 თბილავიამშენი
2009 ენერჯი ინვესტი
2010 სსაუ
2011 არმია
2012 არმია
2013 შსს აკადემია
2014 ქუთაისი

სუპერთასი

2006 თსუ ნიკორა
2007 აზოტი
2008 ენერჯი ინვესტი
2009 ავიამშენი
2010 სსაუ
2011 არმია
2012 არმია
2013 ოლიმპი
2014 ქუთაისი

MSY.GOV.GE



იყოვრე სპორტით,
დარჩი ახალგაზრდა

ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ვეტერანებს, რომლებმაც ქართულ კალათბურთს მსოფლიოში სახელი გაუთქვეს და ჩვენს ქვეყანას არაერთი ძვირფასი ჯილდო მოუტანეს.

ბევრი ქვეყანა ინატრებდა იმდენ ოლიმპიურ, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონებსა და პრიზიორებს, რამდენიც საქართველოს ჰყავს. ბევრი გარდაიცვალა და საბედნიეროდ, პატივმისაგები ვეტერანი კალათბურთელი ჩვენს ქვეყანას ჯერაც ბევრი ჰყავს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ახალგაზრდების გარდა, ვეტერანი კალათბურთელებიც არ დაივიწყა და დააფუძნა „ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანიც ვეტერან კალათბურთელთა სოციალურ-მატერიალური პირობების გაუმჯობესებაა.



ფედერაციის გადაწყვეტილებით, ვეტერანთა დახმარების ფონდს დამატებით გამოეყო საქართველოს სუპერლიგის თამაშებზე გაყიდული ბილეთების თანხა. ასე რომ, ნებისმიერი ქომაგი, რომელიც სუპერლიგის თამაშს შეძენილი ბილეთით ესწრება, თავისთავად ეხმარება იმ ვეტერანებს და მათ ოჯახებს, რომლებმაც ქართული კალათბურთის დიდება გამოჭედეს და დღემდე მოიტანეს.

ვეტერანთა დახმარების ფონდმა თავის არსებობის მანძილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაუწია გარდაცვლილ ვეტერან კალათბურთელთა არაერთ ოჯახს.

იმედი გვაქვს, დახმარების ფონდს დონორები მოუმრავლდება, რითაც ვეტერანი კალათბურთელები და მათი ოჯახები მეტ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას იგრძნობენ.

ს.ს თიბისი ბანკის საბანკო კოდი TBCBGE22
აიპ „ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდი“
ანგარიშსწორების ანგარიში GE82TB0865236080100002
გთხოვთ ფონდს გაუწიოთ ფინანსური თანადგომა

საკონტაქტო ტელეფონი: (+99532) 229 03 14
(+99532) 291 33 54





საქართველოს კალათბურთის
ეროვნული ნაკრების
გენერალური პარტნიორი

ვისაუბროთ






GEORGIA






თორნიკე შენგელია
TORNIKE SHENGELIA


დუდა სანაძე
DUDA SANADZE


ზაზა პატიაშვილი
ZAZA PATIASHVILI




ლევან ფაცაცია
LEVAN PATSATSIA


let's play
BASKETBALL


გიორგი ცინცაძე
GEORGE TSINTSADZE


ანატოლი ბოისი
ANATOLI BOISI




GEORGIA

კალათბურთი































საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის











